ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი. 1918 წ. მარტის 2 (15) № 46
ყოველდღიური გაზეთი
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.
პარასკევი. 1918 წ. მარტის 2 (15) № 46

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

ხელნაწერი მოკლედ უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილებში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. [illegible] ხელნაწერები [illegible] უკან არ [illegible].

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართველი [illegible]. ტელეგრ. ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

ხელისმოწერის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივი განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოიტანონ იმ დღეს არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ამბები:

ვეხიბ-ფაშა იტყობინება: ჩვენ დელეგაციას წინადადება მივეცი, რომ მათ სთხოვონ რუს დელეგატებს საქმის დაწყობა.—ბათუმის ოლქში ოსმალებმა შემოტევა დაიწყეს; მე-4-ე პოლკმა საომარი ბრძანება მიიღო.

მოსკოვსა და პეტროგრადს შორის გერმანელებს მიმოსვლა განუახლებიათ.

წერილები:

მეთაური. გარეშე საფრთხე და შინაური პოლიტიკა.

საქართველოს დაცვისათვის. ვისაც ზავი სურს, ომისთვის ემზადოს. ქართველი მაჰმადიანები.

გერონტი ქიქოძე. რევოლუცია და საქართველო (ფელეტონი).

ისკანდერ მუნჯი. მეურნეობის დაღუპვა საქართველოში.

ვ.—ი. მომხმარებელი საზოგადოება და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი.

ილ. აბაშიძე. ამირანის საღამოს გამო.

არხიმანდრიტი ნაზარი. წერილი რედ. მიმართ.

ამიერ კავკასიის სეიმი.

ღრმად დამწუხრებული და კნეინა მარიამ დიმიტრის ასული ყარალაშვილი [illegible] აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთა და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

გიორგი (გურგენა) დიმიტრის ძე
ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

ცხედრის გამოსვენება მოხდება შაბათს, მარტის 3-ს დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (ელისაბედის ქუჩა № 98). პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, წირვა და დაკრძალვა [illegible] ეკლესიაში.

1—1502—1

პარასკევს, მარტის 2-ს სამეურნეო ბანკში დანიშნულია
ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის ყველა
საუბნო კომიტეტების კრება
თბილისის კომიტეტის ახალი არჩევნებისათვის.

„საქართველოს“ კონტორა
აცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (ყოფილი „საქართველოს“ რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე. ამ დროს განცხადებები შეიძლება [illegible].

აცხადებს, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის სასარგებლოდ მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, სათავადო სახლი) დილის 11—3-მდე

პარასკევს, მარტის 2-ს,
ანდრია ([illegible]) დავითის ძე წულუკიძე
[illegible] მართავს
საღამო-მასკარადს

საღამო გაიმართება „[illegible]“, გოლოვინის პროსპექტ № 39. [illegible] მოწყობილი იქნება **ამერიკული ლოტარეა.**

[illegible] საღამოს 10—2 საათამდე.

9 საათიდან შესასვლელი ბილეთები გაიყიდება იქვე შესავალთან.

ფასი ქალებისათვის—1 მან., კავალერებისა 1 მ. 50 კ. 2—2

კანტორა—წიგნის მაღაზია
განათლება

[illegible] ყურნალ-გაზეთებს „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „Борьба“, „Республика“, „[illegible]“ და სხვებს. კანტორაში იყიდება [illegible] წიგნები: [illegible] „[illegible]“, [illegible] „[illegible]“, [illegible]. Тифлисъ, почт. ящикъ № 96. Сильвестру Р. Таварткиладзе, ტელეფონი № 44. 5—919—5

გულდათუთქული მეუღლე [illegible] ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილისა შვილებით [illegible], დიმიტრი და [illegible] ალექსანდრეს ასული [illegible] აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი და დაუვიწყარი ქმრის, მამისა და [illegible]

გიორგი (გურგენა) დიმიტრის ძე
ჯავახიშვილის

უეცრად გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე, საკუთარ ბინაზე ელისაბედის ქუჩა № 98. გასვენება შაბათს 3 მარტს 10 საათზე [illegible] ეზოში.

2—1051—2

ღრმად დამწუხრებულნი: ქვრივი ნინო გიორგის ასული [illegible] ქალებით, ძმები ალექსანდრე და [illegible] გიორგის ძენი და რძალი ბარბარე ალექსანდრეს ასული [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს მარტის 2-ს გადახდილი იქნება განსვენებულის პოლკოვნიკ

ვასილ გიორგის ძის
ფაღლენიშვილის

1 წლის მოსახსენებელი.

წირვა და პანაშვიდი [illegible] ეკლესიაში დილის 11 საათზე. 1—1047—2

მწუხარე [illegible] ალექსანდრე დიმიტრის ძე ჯავახიშვილი ძმით, [illegible] აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარი [illegible]

გიორგი (გურგენა) დიმიტრის ძე
ჯავახიშვილის

ცხედრის გამოსვენება შაბათს, მარტის 3-ს დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (ელისაბედის ქუჩა № 98). პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. წირვა და დაკრძალვა [illegible] ეკლესიაში.

1—1502—1

გარეშე საფრთხე და შინაური პოლიტიკა

საქართველოს რომ განსაცდელის უმძიმესი [illegible], დღეს ამას ყველა ქართველი უნდა გრძნობდეს. ოსმალეთის მუქარა [illegible] და აშკარაა. თურქეთის მთავრობას, როგორც წინათ, [illegible] განუზრახავს საქართველოს განადგურება.

ამ ბრძოლაში საქართველოს არავინ ჰყავს [illegible] და დამხმარე. მას ვერ უშველის ევროპის თუ რუსეთის დემოკრატია, შინაური თუ მეზობელი [illegible]. ის საკუთარი თავის და თავის ძალ-ღონეზეა მინდობილი. თუ საქართველომ საკმაო [illegible] და ძალა გამოიჩინა, მას მეგობრებიც მოემატებიან და დამხმარენიც. თუ მას [illegible] და უძლურება დაეტყო, ყველა მისი [illegible] მტრად გადიქცევა.

ამისთვის არის საჭირო ეროვნულ ძალთა სრული მობილიზაცია, ერის ყველა მატერიალური და სულიერი საშუალებების შემოკრება და ამოძრავება. რაც უნდა პატარა იყოს საქართველო და მცირერიცხოვანი ქართველი ერი, თუ მან შეიძლო თავის ძალების შეთანხმება და შეკავშირება, მას საკმაო ძალა ექნება ეროვნული თავდაცვისთვის.

ქართველი დემოკრატია უკვე გრძნობს ამ განსაცდელის ჟამს ძალთა გაერთიანების საჭიროებას. მან უკვე გადადგა ამ მხრივ პირველი ნაბიჯი და, ყველა [illegible] და ჯგუფებთან შეთანხმებით, ეროვნულ თავდაცვისთვის სამხედრო ძალის შექმნას შეუდგა. პარტიების წარმომადგენელნი უკვე მოუწოდებენ ჩვენს სამშობლოს და მოუწოდებენ ქართველს ერის შეერთებული ძალით სამშობლოს დაცვას.

ჩვენ მტკიცედ გვწამს რომ ამ მოწოდებას ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი გამოეხმაურება და მოკლე ხანში საქართველოს დასაცავად თოფს ქვეშ დადგება მრავალი [illegible] მეომარი.

და ვინც ამ განსაცდელის ჟამს ხელში თოფს აიღებს, მათ მოეპოვებათ საკმაოდ ძლიერი მამულიშვილური გრძნობა და თავის ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება, რომ არ აჰყვნენ დაბალ ინსტინქტებს, წვრილმანურ გრძნობებს და ბნელ ძალებს, რამაც დაღუპა და გახრწნა სამხედრო ძალა, როგორც რუსეთში ისე ჩვენში.

ბოლშევიკების მიერ ჯარში შეტანილი [illegible] უპასუხისმგებლო თვითნებობა, ყოველგვარი წესრიგის უარყოფა და აშკარა ხულიგნობა საშინელ სენათ გადაიქცა და ეს სენი ქართველმა ჯარებმაც მიიღეს. ყველამ ნათლად დაინახა თუ რა საშინელება წარმოშვა ჯარში დისციპლინის და უმცროსის უფროსობის მიმართ [illegible], პარტიულ [illegible] და პარტიული ბრძოლის [illegible]. სამშობლოს დამცველი, დემოკრატიული მთავრობისა და თავისუფლების დარაჯი მეომარი, ავაზაკად და ხულიგნად გადაიქცა, საზოგადოების და თავის ქვეყნის საშინელი მტერი გახდა. მისგან თავის დასაცავად საზოგადოება იძულებული იყო ხელში იარაღი აეღო და შეიარაღებული რაზმები შეედგინა.

ის ჯარები, რომელნიც უნდა იკრიბებოდნენ სამშობლოს დასაცავად, მოწყობილი იქნება იმ წესით, როგორც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში აწყობენ ჯარებს. ის დაცული იქნება ყველა იმ საშინელებებისაგან, რამაც დაღუპა ბოლშევიკური ჯარები. ამიტომ ყველა ნდობით უნდა უყურებდეს ამ ახალი ჯარების მოწყობის საქმეს და არ უნდა გაურბოდეს მას იმის შიშით, რომ ვაი თუ ეს ჯარებიც ისევე სამარცხვინო გახდნენ, როგორც ბოლშევიკური ის ჯარები, რომელთაც ამ მოკლე ხანში [illegible].

ამრიგად საიმედო სამხედრო ძალის შექმნას უკვე შეუდგა ქართველი ერი და ეს პირველი ნაბიჯია იმ დიადი საქმისთვის, რომელსაც ჰქვიან საქართველოს მიწა-წყლისა და თავისუფლების დაცვა, ეროვნული თავდაცვა. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს შინაური პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნა და განახლება, საშინაო საზოგადოებრივ ძალთა შეერთება და მობილიზაცია.

ჩვენ ვერ შევქმნით ეროვნული თავდაცვისთვის საკმაო სამხედრო ძალას, თუ ვერ მოვახერხეთ შინაურ ურთიერთობაში [illegible] და ანარქიის ჩაქრობა. ქართველი მეომარი მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე და მხნე სამშობლოს საზღვრის დაცვაში, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ მის ოჯახს რაიმე საფრთხე არ მოელის და ხულიგანების მსხვერპლი არ გახდება. საქართველოს დასაცავად სამხედრო ძალის მტკიცე, საიმედო საფუძველზე შენება მოითხოვს, რომ ასეთივე მტკიცე და საიმედო იყოს შინაური მართვა-გამგეობა და წესრიგი.

მტკიცე პოლიტიკა, არა ვიწრო ჯგუფური, პარტიული, არამედ ხალხური მართვა-გამგეობა და ეროვნული პოლიტიკა იმდენად საჭიროა საქართველოს თავდაცვისთვის, როგორც ძლიერი ჯარი, რომელიც საქართველოს საზღვრებს დაიცავს.

თუ ჩვენ ვერ შევქმენით ასეთი შეთანხმებული ეროვნული პოლიტიკა, ვერ მოვიპოვებთ ეროვნული თავდაცვისთვის საკმაო სახსარს, ვერ დავამყარებთ საჭირო წესრიგს და მშვიდობიანობას და ამის გამო ვერც ძლიერ სამხედრო ძალას შევქმნით.

ქართველმა ერმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი ეროვნული თავდაცვისთვის. ის შეუდგა ეროვნული ჯარის შექმნას, შემდეგი ნაბიჯი ეროვნული მთავრობა, ეროვნული და არა პარტიული [illegible], მტკიცე მართვა-გამგეობა და წესრიგი.

საქართველოს თავდაცვისათვის

ვისაც ზავი სურს, ომისთვის ემზადოს!

ოსმალეთის მუქარის შესახებ გაზეთი „ერთობა“ სწერს:

ისტერიული, ნერვებ აშლილი [illegible] სახალხო კომისრების—ლენინის მეთაურობით, [illegible] სახალხო კომისრები პირიქით პეტროგრადულ კომისრებს [illegible]—გერმანელები შეგვეჭამეთ, დაუთმეთ რამე, მიეცით [illegible], ოღონდ უკრაინაში ჩვენ ნება მოგვეცით თავისუფლად შინაური ბრძოლის წარმოებისა.

[illegible] ამაზე მეტის ვერ [illegible] მტერი [illegible], რაც [illegible], [illegible] ყოველი წადილი, [illegible] შინაური [illegible] ხელს [illegible]...

[illegible] უნდა იყვეს, [illegible], რომ ასეთი [illegible] წარმოთქმა გაბედოს.

და ასეთ პირობებში, განა ჩვენი [illegible] ამიერ-კავკასია—გადაურჩება ამ გამცემლობას, ამ [illegible]

ცილდებულ შედეგებს? შემთხვევითი არაა, რომ მოღალატურათ აჯანყდა ყველა ჩვენი ჯარები სწორეთ იმ დროს, როცა გარედან ოსმალთა ჯარი ჩვენი სხეულის საუკეთესო ნაწილის მოგლეჯას გვპირდება, შემთხვევითი არ არის, რომ სწორეთ ამ დროს ყოველ მხრიდან სისინობენ და ანთხევენ ძმათა შორის უნდობლობის შხამს, რითაც ნიადაგს უმზადებენ შინაურ ომის გაჩაღებას.

მხოლოდ დემოკრატიის შეგნებულ, ორგანიზაციულ მუშაობას, შეუძლია რამდენიმეთ მაინც აგვაშოროს თავიდან ეს საშინელი განსაცდელი.

ანარქია გვემუქრება შიგნიდან, ბევრგან ბოლშევიკების, ბევრგან ოსმალეთის აგენტურის ხელმძღვანელობით; ანარქია გვემუქრება გარედან—ოსმალეთის ხიშტის წვერზე წამოსკუპებული.

და ეს უკანასკნელი საფრთხე უძლიერესია დღეს. ოსმალთა ფაშები, ომში დამარცხებულნი, ყოველმხრივ ბრძოლა-წაგებულნი, ეხლა რევოლუციის დაუძლურებულ სხეულს უპირდებენ დაჯიჯგნას. მათ თვალი მოუჩერებიათ რევოლიუციური ბათუმისკენ, სადაც ჩაისახა და გაღვივდა პირველი ნაპერწკალი რევოლიუციური მოძრაობისა ჩვენში. მუხანათი მტერი—სარგებლობს რა რუსის ჯარის წასვლით, სასტიკ განადგურებით ემუქრება ჩვენს რევოლიუციურ მხარეს.

ნურავინ მოტყუვდება საზავო მოლაპარაკებაზე დელეგატების წასვლით. მოლაპარაკება შეიძლება არც კი დაიწყონ ოსმალებმა. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ წუთს შეწყვიტონ, როცა ამას სასურველად დაინახავენ თავის ინტერესების მიხედვით.

ზავი—არ მოაქვს კაცთმოყვარეობის გრძნობას, არც ურთიერთისადმი სიმპატიას. საერთაშორისო ურთიერთობამ ასეთი გულჩვილობა არ იცის. აქ გამეფებულია ხმალი, აქ კანონს და სამართალს სჭედს ძალა, უხეში, ფიზიკური ძალა, ხიშტი და ზარბაზანი.

ვისაც სურს ზავი, უნდა ემზადოს ომისათვის—ასეთია ბრძნული თქმულება ხალხის. ვისაც სურს ზავი ჩამოაგდოს ოსმალეთთან, მან უნდა ოსმალეთის საზღვრებს მიაშუროს გასამაგრებლად. დიპლომატები ვერ მოგვცემენ მშვიდობიანობას, თუ მათ თოფ იარაღი არ უმაგრებს ზურგს. მოღალატეა და უსინდისო მატყუარა ის, ვინც მომავალ ზავის სახელით ურჩევს ხალხს დღეს იარაღის დაყრას. ბოლშევიკების კომისარებმა სწორეთ ასეთ მოღალატური უგნურებით წააგეს ომიც, ზავიც და რუსეთის ბედი და მომავალიც.

თუ არ გვინდა ჩვენს ქვეყანას ასეთივე ბედი ეწვიოს, თუ არ გვინდა მონათ ვიქცეთ ოსმალთა ფაშებისა, უნდა დაუყოვნებლივ მოვკიდოთ ხელი იარაღს, და ვაჩვენოთ მტერს, რომ ზავის მოსურნეთ ბრძოლის უნარიც შეგვწევს ჩვენი სურვილის განსახორციელებლათ. მხოლოდ ამით ვაიძულებთ მოსისხარ ოსმალებს ჩვენ მიერ წაყენებულ დემოკრატიულ ზავზე დათანხმდენ და ჩვენი კუთხეების ჩამოქრაზე ხელი აიღონ.

მხოლოდ ამით ვიხსნით რევოლუციას გასრესისაგან და ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს მოწყვეტასა და აოხრებისაგან.

ვისაც უნდა ზავი—ემზადოს ომისათვის. ზავს მხოლოდ იარაღი მოგვიტანს.

ქართველი მაჰმადიანები

„სახალხო საქმე“ სწერს:

საშინელი დღე დაუდგა საქართველოს. ამიერ-კავკასიაში არც ერთი ერი ისე გაჭირვებულ მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორც საქართველო, ქართველ ხალხის მთლიანი ტერიტორია განსაცდელშია. რაც ქართველ ერს შრომით, გარჯით, ხელმოჭირნეობით შეუძენია დღეს ილუპება, ომის გათავების დროს ჩვენს მხარეზე იწყება ახალი ომი, ყოველ მხრივ დაუძლურებული ქვეყანა იძულებულია ომის საქმეს ხელი მოჰკიდოს, ბრძოლით და გაჭირვებით დაამტკიცოს, რომ ქართველ ერს არ შეუძლია დასთმოს რომელიმე ნაწილი თავისი სხეულისა, დასთმოს ეროვნული ერთობა და ის კავშირი, რომელიც დიდიხნის მეცადინეობით არის შეკრული.

ქართველობის ეს გასაჭირი ქართველ ერის ყოველ ნაწილის გასაჭირია. საქართველოს დღევანდელ უბედურებაში ყველა უნდა მოვიდეს ქართველ ერთან და დახმარების ხელი გაუწოდონ. საქართველო მუდამ დარაჯად უდგა არა მარტო ქართველ ხალხს, სხვა ერის მთლიანობას, ქართველობა მუდამ მქადაგებელი იყო თანხმობისა, ძმობისა, სიყვარულისა და თუ ყოველ დადებით კულტურულ ღირებულობას რაიმე ღირებულება აქვს, საქართველოს სხვა მეზობელ ერმაც უნდა გაუწიოს დიდი ქონებრივ ფიზიკური შემწეობა.

მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა აწევს კისერზე საქართველოს შვილთ, რომელნიც სხვა და სხვა რწმენის, რჯულის და მიმართულების არის. საქართველო თავისუფლების დროშისაკენ მოუწოდებს როგორც ქართველ ისრაელს, ისე ქათოლიკეს, ქრისტიანს და მაჰმადიანს. ამ წუთში ჩვენ ყურადღება გვინდა განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანებს მივაპყროთ. რამდენიმე წელიწადია მთელი საქართველო გულმხურვალედ ეკიდება სამაჰმადიანო საქართველოს, მტკიცე კავშირს ამყარებს მოძმე მაჰმადიანებთან, ავრცელებს მათში სკოლებს, კოოპერატივებს, საავადმყოფოებს და საერთოდ კულტურულ ცხოვრებას. სუსტი იყო ქონებრივ სახსარი ქართველებისა, მაგრამ რითაც შეეძლო ქართველ ხალხს, ცდილობდა ძმებს შორის ძმური კავშირის გაძლიერებას.

დღეს ისეთი დრო დადგა, როდესაც ოსმალეთის ხელი აპირებს წაღეკოს ის ურთიერთობა და სიყვარული, რომელიც სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს შორის დამყარდა. ოსმალეთს უნდა გაანადგუროს ყოველივე ის, რასაც ევროპიულ კულტურის დაღი აზის, მას უნდა დაიმორჩილოს მაჰმადიანი ქართველები, დაადევას დიდი ხარჯი, შემაულებს დაუმორჩილოს მიწის მუშები.

მაჰმადიანმა ქართველობამ დღეს დედა საქართველოს უნდა მისცეს ხელი, ზიზღით შეხვდეს ყოველ პროვოკატორს, რომელიც ჩვენს შორის უნდობლობას და მტრობას სთესს. ხოლო შეუდრეკლად ქართველ ერს და ქართველობასთან ერთად დაიცვან მამული.

ამაზე ცუდი დრო ქართველობას არ დასდგომია. მტრის მოძრაობას აშკარა აგრესიული ხასიათი აქვს. ცნობაა, რომ რიზეს მხრივ ოსმალეთის ჯარი მოდის, მშვიდობიანობის მოლაპარაკება, როგორც სჩანს, იწარმოებს ზარბაზნების გრიალში, ამ საშინელ დროს ქართველ მაჰმადიანების ზნეობრივი და მატერიალური მოვალეობაა სამშობლოს დამცველ ქართველ ერის ჯარს მხარში ამოუდგეს და ყოველი ნაჭერი მამულისა სისხლით დაიცვას.

დღევანდელმა გაჭირვებამ უნდა კიდევ უფრო გამოსჭედოს ქართველობის ერთობა, ბრძოლამ აღამაღლოს საქართველოს სახელი, რათა საქართველოს მომავალი ქართველ ერს და მის კეთილ მეზობლებს სიხარულს გვრიდეს.

ომი

დასავლეთის ფრონტზე

გერმანეთ-ავსტრიის ცნობა

მარტის 11 (ახალი სტ.) ფლანდრეთის ფრონტის რამდენიმე ალაგას ჩვენი რაზმები შეიჭრნენ. მაასის მარცხენა მხარეზე არმენ-ტიერის მიდამოებში ჩვენები თავს დაესხნენ თხრილებში მყოფ მტერს. წამოიყვანეს ტყვეები. ხელთ იგდეს აგრეთვე ტყვიისმფრქვევლები.

კაპიტან ტიუჩკემ და ლეიტენანტ ბიოსგეფმა 27 ბრძოლაში გაიმარჯვეს. ლეიტენანტ ბეტტეს მე-20-ე საჰაერო გამარჯვება ხვდა.

მარტის 10-ის ცნობა

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ინგლისელთა მზვერავი რაზმები თავდასხმას განაგრძობენ მონხის სამხრეთით. მათი ძლიერი რაზმი მოვიგერიეთ ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

კრონპრინცის ლაშქარი. რეიმსის ჩრდილოეთით ჩვენები მტრის თხრილებში შეიჭრნენ და ტყვეებით დაბრუნდნენ. ორნის ორივ მხარეზე დიდი ბრძოლაა.

ალბრეხტის ლაშქარი. ბლომონტის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ფრანგებმა მოქმედება განაცხოველეს. ანკერვილლერსა და ბანდონვილლერს შუა მტერმა შემოტევა დაიწყო და ზოგიერთ პუნქტებში ჩვენ თხრილებში ჩამოიჭრა. ამ უკანასკნელ დღეებში ჩამოვაგდეთ მტრის 28 ჰაეროპლანი.

ახლო აღმოსავლეთი.

ოსმალეთის სამხედრო ცნობა.

თითქმის მთელს პალესტინის ფრონტზე სამხედრო მოქმედებაა. ელ-კაფრის, ბეტრიმა-ნებიზალხის მიდამოებში შეტაკებაა. მტერმა დაიჭირა ნაფრავანი, აჰარა და სილვადდი ბურჩირა და ბერდავილზე მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. მტერი უმთავრესად აზურის ასპარეზის სიმაღლეებს აწყდებოდა. ხსენებული სიმაგრეები ჩვენ შევინარჩუნეთ. მდ. იორდანეს დასავლეთ ფრონტის მარცხენა ფრთაზე ჩვენს პატრულებს მტერთან შეტაკება მოუხდათ. წამოვიყვანეთ ტყვეები.

კავკასიის ფრონტზე

თებერვლის 27 ცნობა

თებერვლის 25 და 26-ს არზრუმის რაიონში ჩვენი მოწინავე რაზმები ილიჯის და ტაკია-დარასინის მიმართულებით ოსმალთა ძლიერ რაზმის ზეგავლენით, არზრუმისკენ წამოვიდენ. მოგვიკლეს 10 ჯარისკაცი, დაგვჭრეს 180, უკვლოდ დავკარგეთ 50 კაცი, დასახიჩრდა პოლკოვნიკი ტორკოში და მძიმედ დაიჭრა ტერ-დანიელიანი. ხნისის ჩრდილოეთით სოფ. მაჯიდლის რაიონში ჩვენმა მილიციონერებმა ქურთები მოიგერიეს. ქურთებმა ხნისის სამხრეთით კელლის რაიონში იჩინეს თავი. ქარბოხის რაიონში ქურთები მოვიგერიეთ. ახლატის რაიონში მოწინავეთა ბრძოლაა.

შატილოვი.

თებერვლის 28-ს ცნობა

აზრუმის დაცლის დროს გაიცა ბრძანება, რომ მთელი არტილერია დაეზიანებინათ. ზოგიერთ ზარბაზნების საკეტი და პანორამები წამოეღოთ. დაეწვით შინების საწყობი. გადაეწვით აგრეთვე საინტენდანტო საწყობების ერთი ნაწილი. გადარჩა ტრაპიზონის ალყიდის კარებებთან არსებული სასურსათო მაღაზია. სიმაგრე ახალის საარტილერიო საწყობში ყუმბარა დავტოვეთ. ყუმბარა თებერვლის 27-ს შუადღისას უნდა აფეთქებულიყო. დაჭრილ-დახოცილთა რიცხვი 200-მდეა. 20 ოფიცერი უკვლოდ დავკარგეთ.

შატილოვი.

სწორია. პოდპოლკოვნიკი გაჯიბეგდინსკი.

აზრუმის აღება

ამიერ კავკასიის სეიმის თავმჯდომარემ თებერვალს 28-ს შემდეგი დეპეშა მიიღო: გაცნობებთ გენერალ ვიშინსკის თებერვლის 27 თარიღით გამოგზავნილ დეპეშის ასლს: პოლკოვნიკი ზინკევიჩი ჰასანკალიდან იტყობინება, რომ დღეს თებერვლის 27-ს გათენებისას აზრუმის მეციხოვნეთა ნაწილებმა სომეხთა პირველ პოლკის მეთაურით ქალაქი დასტოვეს. ოსმალებს დილიდანვე ხარპუტის, ტრაპიზონის და ოლთის სავლენებზე მოჰქონდათ იერიში. დილის 7 საათზე ტრაპიზონის რაფელინი აიღეს, მიუხედავად იმისა, რომ კაპ. სტოიაკინის მეთაურობით ერთი მუშა ჯარი მედგრად იცავდა. ამის შემდეგ დაიწყო მეციხოვნეთა სტიქიური დახევა. მეციხოვნენი ჰასანკალესკენ იხევდნენ. ჯარის უფროსმა ჰასან-კალესა და ხნისში შემდეგი ბრძანება გასცა. ჰასან-კალა. ანდრონიკს. ხნისი. პოლკოვნიკ ოსიპოვს. ვუბრძანებ გენერალ ანდრანიკს შეკრიბოს აზრუმის რაზმი ასანკალაში დ ყოველივე ზომები მიიღოს მის დასაშვიდებლად და ჯარში წესიერების აღსადგენად აზრუმის რაზმს შეუძლიან დიდხანს დარჩეს ჰასან-კალეში. ოსიპოვს ვუბრძანებ ხნისელ რაზმით ამ საათშივე დაიწყოს კეპრიკეისკენ დახევა. ხნისელი რაზმი დაემორჩილოს გენერალ ანდრანიკს. კარმუნჯის რაზმმა დაიხიოს კარაკლისისკენ. თებერვლის 27—16 საათი 30 წ.

ოდიშელიძე

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ბონები.** ექსპედიცია მუდამ დღე გამოსცემს 10, 25, 50 და 100 მანეთიან ბონებს სულ 600—700 ათას მანეთისას. ახლო მომავალში დაიბეჭდება 3 მანეთიანები და მას შემდეგ მანეთიანებიც. ექსპედიციას მზად აქვს 1 მილიარდი მანეთის საკმარისი ქაღალდი და საღებავი.

◆ **თათბირი ფინანსიურ კრიზისზე.** ამ დღეებში შესდგება საგანგებო თათბირი სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა ფინანსიურ კრიზისის გამო შექმნილ მძიმე მდგომარეობის შესახებ.

◆ **ბაქოს გზაზე მომწყვდეულნი ქართველები.** ბაქოს რკინის გზაზე ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ლიანდაგის აყრის გამო მოემწყვდა ერთი ჯგუფი ქართველთა და პოლონელთა, რომელთა თაობაზეც ბაიაზეთის ოლქის ქართველთა და პოლონელთა კომიტეტის წევრნი ზაბლცკი და კობიაშვილი სთხოვენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოელაპარაკოს ბაქოს სახნოს მთავრობას და შველა აღმოუჩინოს.

ქუთაისი

◆ **საგუბერნიო კომისარის გადადგომა.** ქუთაისის საგუბერნიო კომისარი ბ-ნი გ. გიორგაძე თანამდებობიდან გადადგა, რადგან ის სეიმის წევრად არის არჩეული და თბილისში უნდა იცხოვროს. მის ადგილას დროებით გაიგზავნა თბილისის მილიციის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ივ. კარუხაშვილი.

ახალქალაქი

◆ **ილია ალხაზიშვილი.** თბილისის გაზეთების მიერ მიღებული ცნობა ილია ალხაზიშვილის მოკვლის შესახებ, ტყუილი გამოდგა. როგორც ამ ჟამად ახალქალაქის ქალაქის თავი იტყობინება, ალხაზიშვილი კარგად ყოფილა. ბრბოს მისთვის მხოლოდ უცემია და ენერგიული ზომებით ის სიკვდილიდან დაუცავთ.

ოსმალთა შემოტევა ბათუმის ოლქში

(დეპეშები)

ბათუმის ოლქში ოსმალებმა შემოტევა დაიწყეს.

მიხეილის ციხის უფროსმა ქუთათელაძემ წინადადება მისცა გურულებს დაიცვან ქობულეთ-ლანჩხუთის რკინის გზის რაიონი.

მე-4 პოლკმა სათადარიგო განკარგულება მიიღო, მაგრამ თვით პოლკი ჯერ შემდგარი არ არის საბოლოოდ. პოლკის უფროსი ქარცივაძე ამ ჟამად თბილისში იმყოფება. თითქმის სრულებით არ არის ფული, პური და იარაღი. არ არის აგრეთვე ორგანიზატორი. გურულები მხნედ არიან და მხარის დაცვა გადასწყვიტეს.

—

აჭარლებსა და ბათუმის ოლქში მომქმედ ჯარს შორის დამოკიდებულება ერთობ გამწვავდა. მოსალოდნელია ძმათა სისხლის ღვრა აჭარაში. მოვიდა ახალციხელთა შეიარაღებული რაზმები. მოდის რაზმები აგრეთვე შავშეთიდან. ქედაში რამდენიმე ათასმა აჭარლმა და ახალციხელმა მოიყარა თავი და აჭარის წყალიდან ჯარის გამოყვანას მოითხოვენ. საჭიროა მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები ძმათა შორის სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივი მკვიდრნი ამ მხრივ ვერას გააწყობენ. გთხოვთ გამოგზავნოთ ავტორიტეტიანი და ყველასათვის პატივსადები პირნი.

საოლქო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მახან ლორთქიფანიძე.

სამშვიდობო მოლაპარაკება ოსმალეთთან

ვეხიბ ფაშას დეპეშა

გენერალ ოდიშელიძისაგან ვეხიბფაშის შემდეგი დეპეშა მოუვიდა სეიმის თავმჯდომარეს ბ-ნ ჩხეიძეს და კომისარიატის თავმჯდომარეს ბ-ნ გეგეჭკორს: თქვენი დეპეშა ქვეშ № 3766 გენერალ ოდიშელიძისაგან მივიღე. პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ ჩვენი დელეგატები მივიდნენ ტრაპიზონში. მე წინადადება მივეცი მათ სთხოვონ რუსის დელეგატებს ეხლავე შეუდგნენ საქმეს.

ხელს აწერს: სარდალი ოსმალეთის ლაშქრის კავკასიის ფრონტზე

ფერიკ-ვეხიბ-მეხმედი.

12 მარტი 1334 წელ.

თელავის ამბები

ქართველ ჯარისკაცების აღვირაშვებულობამ საშინელი სახე მიიღო. გორის და ქუთაისის ამბები კახეთსაც მოედო და უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო. თელავის პოლკის ჯარისკაცების ქცევა თავზარსა სცემდა მცხოვრებთ. ცარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა და მრავალი სხვა ხულიგანობა ჩვეულებრივ საქმეთ გაიხადეს ამ სამშობლოს „მხნელად“ მოვლინებულმა „რაინდებმა“. შინლიან კაცის დანახვაზედ დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, შიშით შეპყრობილი, იმალებოდა.

ბოლოს თებერვლის 18 მათმა სიმხეცემ სისხლის ღვრაც გამოიწვია. მიესივნენ კომისარიატს და ადგილობრივ მილიციას და ისეთი ნაცარტუტა აადინეს იქაურობას, თითქოს უსაშინლეს მტერისაგან იცავენ ქვეყანასო.

ამ ჯარის მორჯულებას და წესიერ ნიადაგზედ დაყენებას, დღიდან პოლკის დაარსებისა, დიდის ერთგულებით

რევოლუცია და საქართველო *)

ბატონებო, თითქმის ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც რუსეთის რევოლუცია დაიწყო, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ განვიცადეთ თითქმის ყველა გრძნობები, რომელთა განცდა საზოგადოთ შეუძლია ადამიანს. თავდაპირველად ყველანი აღფრთოვანებული ვიყავით. შემდეგ თანდათან იჭვიანობამ შეგვიპყრო: შემდეგ კიდევ გულგრილობა და დაქანცულობა ვიგრძენით; და დღეს მგონია საერთო სულიერ განწყობილებას გამოვხატავ თუ ვიტყვი, რომ დიდათ შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი ვართ.

ეს არის უანგარიშო შიში და უანგარიშო სასოწარკვეთილება. დღეს ჩვენ სრულიად უმწეოდ ვსდგევართ გამოუცნობი მომავლის წინაშე. არ ვიცით ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს. შეუძლებელი გახდა არა თუ მოვლენათა წინასწარმეტყველება, არამედ მათი წინათგრძნობაც. ადამიანური გონებაც და ადამიანური ნებაც შებოჭილია და სტიქიონური ძალები თითქმის განუსაზღვრელად ჰფლობენ ჩვენს მოქმედებას.

მაგრამ შიშიცა და სასოწარკვეთილებაც ცუდი მრჩეველია იმისთვის, ვისაც ცხოვრება და მოქმედება სწყურია. როცა ადამიანი შუბლით კედელს ეჯახება, როგორაც ეს ჩვენ მოგვივიდა, საჭიროა რომ მან უკან მოიხედოს და თვალი გადაავლოს განვლილ გზებს. ამ გვარად ის შეიძენს ერთგვარ პერსპექტივას, რაიცა აუცილებლად საჭიროა პრაქტიკული პოლიტიკისთვის. მისი თვალები განათლდება და თუ გამოსავალი გზა კიდევ მოიპოვება, ადრე თუ გვიან ამასაც დაინახავს.

ბატონებო, თქვენ გეხსომებათ, რომ ქართველი განათლებული საზოგადოება აღტაცებით შეხვდა რუსეთის დიდი რევოლუციის პირველ დღეებს. მგონია რომ ჩვენი გული დღესაც არ გაცივებულა თანაგრძნობისათვის. რევოლუციისაგან ჩვენ ველით პიროვნების განთავისუფლებას ტრადიციული ძალებისაგან, რომელნიც ჰბოჭავენ და აფერხებენ მის განვითარებას. ვგულისხმობ არა მარტო ადამიანურ, არამედ ეროვნულ პიროვნებასაც. ჩვენ გვწამს, რომ იმ დიდ კედელზე, რომელიც მიჯნად დაედება სრულიად ახალს ისტორიულ ეპოქას, სისხლიანი ლურსმული წარწერით აბეჭდილი იქნება დიდი მცნებანი ადამიანური და ეროვნული თავისუფლებისა.

შემთხვევით არ ვლაპარაკობთ სისხლიან წარწერაზე. რევოლუციას უარყოფითი მხარეებიც აქვს. მართალია დიდი ფრანგი სოციალისტი ჟორესი, რომელიც ამბობს, რომ რევოლუცია ბარბაროსული ფორმაა პროგრესისა. ეს ბარბაროსობა იმაში აშკარავდება, რომ თითქმის ყოველ რევოლუციას თან სდევს ანარქია, რაიცა დიდის ხნით შლის როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველს, ისე სავალდებულო ზნეობრივ ნორმებსაც. ეკონომიური და პოლიტიკური ანარქია მორალურ ანარქიაში გადადის. ამის მაგალითებს დღეს ნათლად ვხედავთ ჩვენს გარშემო. რუსეთის რევოლუცია სოციალისტური ალტრუიზმის ნიშნის ქვეშ დაიწყო, მაგრამ შემდეგ უცებ გადაგვარდა. რაც დრო გადის მით უფრო იზრდება უკიდურესი სოციალისტური პარტიების ხმები, მაგრამ ამასთან ერთად სუსტდება ის, რაც ყოველ კეთილგანწყობილი საზოგადოების ძირითად პრინციპებს უნდა შეადგენდეს. ადამიანში ღვიძებენ პირველყოფილი ტლანქი ინსტინქტები და ქვეყანაში ცინიკური ეგოიზმი მეფდება. ბოლოს თითქმის სრულიად ჰქრება მოკრძალება პიროვნებისა და მისი საკუთრების წინაშე. ანარქია ავაზაკობითა და ძარცვით მთავრდება.

ასეთ პირობებში ჩემის აზრით, ქართველი განათლებული საზოგადოება უნდა გამოექომაგოს ზოგიერთ კონსერვატიულ პრინციპებს საზოგადო ცხოვრებისა თუ მორალის დარგში. ჩვენ გვინდა დიდი სოციალური შენობის განახლება და გაფართოება, მაგრამ არ გვინდა მისი დაწვა და განადგურება. პროგრესი ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს როგორც ცხოველური მდგომარეობის დაშორება და მსვლელობა ჰუმანობისკენ.

ზემოდ აღვნიშნე კიდეც, თუ რომელი იდეური ნიშნის ქვეშ დაიწყო რუსეთის რევოლუცია. ამ რევოლუციას მარქსის იდეები ჰფლობენ ისევე, როგორც საფრანგეთის დიდს რევოლუციას რუსსოს და ვოლტერის აზროვნება ფლობდა „კაპიტალი“ და „კომმუნისტური მანიფესტი“ შთაგონების წყარო თანამედროვე სოციალისტებისა, როგორც „ახალი ჰელოიზა“ და „სოციალური კონტრაქტი“ შთაგონების წყარო იყო იაკობინელებისა და ჟირონდისტებისათვის. ორივე აზროვნებას ახასიათებს სურვილი მთელი კაცობრიობის გაბედნიერებისა. მხოლოდ ერთი ამ გაბედნიერებისათვის პირველყოფილი ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენას მოითხოვს, ხოლო მეორე რთული სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარებას.

ეს განსხვავება უფრო შემთხვევითია, ვიდრე არსებითი, როგორც ძველი ფრანგი რევოლიუციონერები, ისე დღევანდელი რუსი სოციალისტები მარტივი რაციონალისტური მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობენ. მათ შემუშავებული აქვთ ერთგვარი განყენებული წარმოდგენა კაცობრიობის შესახებ. მათ ჰგონიათ, რომ ადამიანი ერთნაირი იბადება ეკვატორსა და პოლუსებთან და საკმაოა ერთი და იგივე რეცეპტი ციმბირის კეთროვანებისა და ტროპიკული ციებ-ცხელების მოსარჩენად. როგორც ერთს დროს რობესპიერი და სენჟუსტი, ისე დღეს ლენინი და ტროცკი მთელი კაცობრიობის გაბედნიერებას ლამობენ. მათი იდეალები სცილდება ეროვნებისა და რასის ვიწრო საზღვრებს. მაგრამ როგორც წინად იაკობინელები, ისე დღეს ბოლშევიკების მეთაურები მზად არიან გილიოტინაზე გაისტუმრონ ან ციხეში ჩასვან მეშვიდებლები ე. ი. პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, რომელნიც ქვეყნის დიდს ნაწილს წარმოადგენენ. ეს ბუნებრივია. აბსტრაქტულ იდეების სიყვარული ადამიანის გულს აჩლუნგებს მახლობელის სიყვარულისათვის და მუდმივ შორეული მიზნების ცქერა თვალებს ოდნავ აბეცებს.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ დიდი რევოლუციის შემდეგ ევროპაში დამყარდა ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილება, რომელიც სრულიად არ ჰგავს ჟან-ჟაკ რუსოსა და იაკობინელების მიერ ნანატრ პირველყოფილ ბედნიერ კომუნას. მოსალოდნელია, რომ იგივე მოხდება რუსეთში. ადამიანური მოქმედების შედეგები იშვიათად ეთანხმება პირვანდელ განზრახვებს. ოქტომბრის აჯანყების შემდეგ ბოლშევიკებმა რამდენჯერმე საჯაროდ გამოაცხადეს, რომ იწყება სოციალისტური ეპოქა ისტორიისა. სოციალიზმის სახელით მათ დაატუსაღეს რამდენიმე პოლიტიკური მოღვაწე, დახურეს რამდენიმე დიდი ლიბერალური გაზეთი და ბოლოს დამფუძნებელი კრებაც გარეკეს. მაგრამ ახალი რუსეთის მოქალაქე ჯერ კიდევ არ უნდა გრძნობდეს ამქვეყნიური ნეტარების მოახლოვებას, რომელიც გვიწინასწარმეტყველა მარქსისტულმა სოციალიზმმა. პირიქით, ისეთი ნაჩქარევი ექსპერიმენტები, როგორიც არის ფაბრიკებისა და ქარხნების ექსპროპრიაცია, მუშათა კონტროლის დაწესება და ბანკების ნაციონალიზაცია სრულ ეკონომიურ არევდარევას იწვევს, წარმოების კრიზისს ამწვავებს და უმუშევართა არმიას ახალს რაზმებს უმატებს.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების დიქტატურა მსოფლიო რევოლუციის რწმენაზეა დაფუძნებული. ეს რწმენა თავისთავად შეიძლება არ იყოს უტოპიური. ვინც დასავლეთ ევროპას იცნობს, ვისაც წარმოდგენილი აქვს ის შუღლი და წინააღდეგობა, რომელიც იქ შეძლებულებს ღარიბებისაგან ჰყოფს, დამეთანხმება რომ რევოლუციური აფეთქება იქაც შესაძლებელია; განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელნიც დამარცხებულნი გამოვლენ თანამედროვე ომიდან. მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთის დამარცხებამ 1870—1871 წლის ომის დროს კომუნისტების აჯანყება გამოიწვია პარიზში. ასეთი აჯანყება უფრო დიდის ან უფრო პატარა მაშტაბით შეიძლება განმეორდეს საფრანგეთსა, ინგლისსა ან გერმანიაში. კიდევ მეტს ვიტყვი: მოსალოდნელია, რომ დიდი ომის შემდეგ ევროპაში აუცილებელი გახდება ზოგიერთი ძირითადი რეფორმები, რაიცა შესცვლის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სახეს. მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს თითქო მოახლოვებული იყოს სოციალისტური უტოპიის განხორციელება.

ბატონებო, ჩაგრული და ბეჩავი კაცობრიობა თავის სიღრმეში მუდამ ატარებს აბსოლუტური ბედნიერების ხილვას. ეს ხილვა ბიბლიურმა ეპოსმა ამ ქვეყნიური სამოთხის რწმენაში გამოხატა. ესოციური თვალსაზრისით სოციალისტური იდეალი არსებითად იგივე ბიბლიური ლეგენდაა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის მოთხოვნილებებთან შეთანხმებული. მაგრამ პოზიტიური მეცნიერება ამტკიცებს, რომ კაცობრიობის ისტორია სამოთხით არ დაწყებულა, და სამოთხით არც დამთავრდება. დაუსრულებელი ბედნიერების ძიება ისეთივე უნაყოფო საქმეა, როგორიც წინეთ ფილოსოფიური ქვის ან ცხოვრების ელექსირის ძიება იყო. და თუ დღემდე ეს ძიება არ შეჩერებულა, ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ არ გამოსულა ბავშვური წარმოდგენების სფეროდან.

მართლაც სად არის ის რეალური ძალები, რომელმაც ამ ქვეყნად სოციალისტური ნეტარება უნდა დაამყაროს? მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიას თავი მოაქვს იმით, რომ მას

---

*) ლექცია წაკითხული საქართველოს ქალაქებში.

შეუდგნენ ადგილობრივი ეროვნული დემოკრატები. ჩაეწერნენ ჯარში და რჩევა-დარიგებით თუ თავისი მაგალითით ცდილობდნენ დაბრმავებულ ძმების გამოფხიზლებას. მართალია მათი მუშაობა არა სჩანდა და ჯარისკაცები მგლურად უყურებდნენ, მაგრამ მათი წყალობით მრავალი ხულიგნური გამოსვლა თავიდან აცდენილ იქმნა. საღი გონება და დღევანდელი მდგომარეობა მგონი ყველას უნდა უკარნახებდეს, რომ ამგვარი მუშაობა წასაბაძი და წასაქეზებელი იყო.

მაგრამ, როგორც მუდამ ჩვენში ხდება, ამ გულწრფელმა იდეურმა მუშაობამ, მადლობის მაგიერ ხიშტი და ტყვია მიიღო.

მოვიდა თუ არა წითელი გვარდია, რომელმაც შებორკა თავაშვებულ ჯარისკაცთა ბრბო, ადგილობრივმა ხულიგანებმა დაიწყეს ეროვნულ-დემოკრატების დევნა. სალდათების გაბალშევიკებას მათ აბრალებდენ. მათ დაარბიეს ბიურო, ესროლეს ერთ ეროვნულ-დემოკრატს და მხარში დასჭრეს. დანარჩენ პარტიაში და ჯარში მომუშავეთ დაუწყეს სასიკვდილოდ დევნა. ამისთანა არეულ დროში ნაძირალების ფართფაში გასაკვირი არ არის, მაგრამ გასაოცი ის არის, რომ ადგილობრივი მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობს ამის წინააღმდეგ, თუმცა ძალიან კარგად იციან თუ ვისგან არის ეს საზიზღარი პროვოკაცია.

წითელ გვარდიელთა უფროსი, რომელიც ბრბოს დასამშვიდებლად მოვიდა, სამწუხაროდ, მაინცდამაინც ძალიან არ აღელვებულა ეროვნულ დემოკრატების დევნით და ბიუროს დარბევით, პირიქით მისმა ლაპარაკმა მიტინგზედ სულ სხვა შთაბეჭდილება დასტოვა.

ერთი სიტყვით, სწორედ ის პარტია, რომელიც ყველაზე მეტს იბრძოდა ყოველგვარი ხულიგანობის წინააღმდეგ და წესიერებას იცავდა, კანონის გარეშე არის გამოცხადებული, რადგანაც ყოველ ხულიგანს და ნაძირალას შეუძლიან ყოველგვარ სიმხეცის ჩადენა და მის ამლაგმელი კი არსადა სჩანს!

ნარდონ.

ამიერ-კავკასიის სეიმი

თებერვლის 26 სხდომა

სხდომას საღამოს ექვსის ნახევარზე ხსნის სეიმის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, იგი სეიმს მოკლედ მოახსენებს არაჩვეულებრივი სხდომის მოწვევის მიზეზს, სახელდობრ, ვეხიბ-ფაშის წინადადებას ბათომის, ყარსის და არტაანის ოლქის დაცლის თაობაზე.

ვრცელ განმარტებას ამის შესახებ იძლევა კომისარიატის თავმჯდომარე **ევ. გეგეჭკორი.**

გეგეჭკორის მოხსენება

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორი აცნობებს ვეხიბ-ფაშის მიერ გამოგზავნილ დეპეშას ბათომის, ყარსის და არტაანის ოლქების დაცლის შესახებ. იგი სეიმს უდგენს აგრეთვე თავის და ჩხეიძის ხელმოწერილ გაგზავნილ პასუხს ხსენებულ დეპეშაზე და დასძენს: როგორც სჩანს და ამის შესახებ ჩვენ უკვე ცნობებიც მოგვდის—ოსმალები თავის ძალას ტრაპიზონის რაიონში და კავკასიის ფრონტზე აძლიერებენ. მათ გადმოუყვანიათ ზოგიერთი ნაწილები ევროპის ბრძოლის ასპარეზიდან. თქვენს წინაშე ეხლა სდგას საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ოსმალეთის უკანასკნელ გამოსვლასთან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი ყოველთვის ერთ მიმართულებას ადგა. მას მუდამ ჰსურდა ომის შეწყვეტა. ამ მხრით ჩვენ მივმართეთ ყოველგვარ საშუალებას. ჩვენ ისეთი ნაბიჯებიც-კი გადავდგით, რომ ფორმალურად მის უფლებაც არ გვქონდა. მაშინ, ჩვენ დამოუკიდებლად გავმართეთ ოსმალეთთან მოლაპარაკება დროებით ზავის შესახებ. დარწმუნებული ვართ, რომ ოსმალეთსაც გულწრფელად ჰსურს ჩვენთან ზავის ჩამოგდება. თუმცა ეს რწმენა რამდენადმე შეარყია ვეხიბ-ფაშის უკანასკნელ დეპეშამ. ოსმალეთის მთავრობისათვის აშკარა იყო, რომ ჩვენ ვაწარმოებდით დამოუკიდებელ პოლიტიკას და ბოლშევიკების მთავრობასთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ მას არავითარი ეჭვები არ უნდა ჰქონდეს. ოსმალეთის მთავრობამ თავის მოქმედებით დაამტკიცა კიდეც ეს. ახლა კი უნდა ჩვენ შეგვაკავშიროს რუსეთს. ვეხიბ ფაშას მიერ 10 თებერვალს გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ ოსმალეთის დელეგაცია უკვე გამოემგზავრა, რომ გამართოს ზავის შესახებ მოლაპარაკება და აღიაროს ამიერ-კავკასიის მთავრობა. უკანასკნელი წინადადება კი ჩვენ ულტიმატუმად მიგვაჩნია. მე, როგორც გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარი ვაყენებ საკითხს, ოსმალეთის ეს განცხადება ჩავთვალოთ საზავო მოლაპარაკების შეწყვეტად თუ გაგრძელებად? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომები, რათა ჩვენსა და ოსმალეთს შორის ბოლო მოეღოს სისხლის ღვრას. ამ მიზნის მისაღწევად კი ჩვენ ბოლომდის უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ ამასთანავე მცხოვრებთ უნდა ვაცნობოთ ყველაფერი. ხალხი ეხლა ფიქრობს, რომ ორივე მხრით გულწრფელად სურთ ზავის ჩამოგდება და თუ ეს ერთსულოვნობა ირღვევა, ჩვენ მოვალენი ვართ ყველა ეს ხალხს ვაცნობოთ.

გენ. ლებედინსკის განცხადება

გენ. ლებედინსკი (კავკასიის ჯარის უფროსი). აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ოსმალების დამოკიდებულება ჩვენდამი მეტად შეიცვალა. მათი წინადადებით ჩვენ ავირჩიეთ კომისია, რომელსაც დაევალა ფრონტზე დარჩენილ ქონების პატრონობა, მაგრამ ოსმალები ახლა ჩვენს ჯარის კაცებს არ აძლევენ უფლებას შეასრულონ თავის მოვალეობა. ბითლისის რაიონში გამოჩნდენ ოსმალების რეგულიარული ნაწილები, სხვა რაიონებში მოქმედობენ ქურთები, რომლებსაც ჩვენი ჯარის კაცები ადვილად ართმევენ იარაღს.

ოფიციალი განცხადებანი ლებედინსკის განცხადებით დასრულდა.

შექმნილ მდგომარეობის განსახილველად სიტყვა ეძლევა **ნ. ჟორდანიას.**

ნოე ჟორდანიას სიტყვა

მოქალაქენო, სეიმის წევრნო! თქვენ იცით, რომ რევოლიუციის პირველ დღიდანვე ჩვენ ზავის ჩამოსაგდებად ვისწრაფოდით. საზოგადოთ დემოკრატია დაინტერესებული არ არის საშინელი ომით და მან თავიდანვე ამ ომის უმტკივნეულოდ გათავება დაისახა მიზნად. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ დემოკრატია, ყველა ზავზე ვერ დასთანხმდება. ჩვენ ხომ ბოლშევიკები არ ვართ, რომ სიტყვით გავაბედნიეროთ ხალხი და საქმით კი გავყიდოთ (ხმები: „მართალია" ტაში) ჩვენ ტოლსტოის მიმდევრები არა ვართ, რომ ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაუწიოთ როცა დემოკრატიას საფრთხე მოელის, სულ ერთია შიგნიდანაა იგი საფრთხე თუ გარედან—ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ დემოკრატიისათვის. დემოკრატიული ზავი ემყარება შემდეგ დებულებას: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. ჩვენ ვცდილობთ ჩვენს საზღვრებზე მაინც გავიყვანოთ ეს ფორმულა. რა მოსაზრებით გვინდა ჩვენ ამ ფორმულის ცხოვრებაში გატარება? არა ამ ფორმულის და ან მის ლამაზ სიტყვების სიყვარულით; არა, ჩვენ აქ ხელმძღვანელობს კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ხასიათის მოსაზრებით. იმ ადგილების ჩამოჭრით, რომლების წაღებაც უნდათ ჩვენ სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს მთელ ამიერ-კავკასიის კულტურულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მხარეს.

ბათუმის მნიშვნელობა

ბათუმი ჩვენთვის იგივეა, რაც რუსეთისთვის პეტროგრადი. ეს არის ერთად ერთი გასავალი შავ ზღვაში და მხოლოდ ამის წყალობით შეეძლება ამიერ-კავკასიის განვითარებულიყო კულტურულ-ეკონომიურად და ევროპის კულტურულ ქვეყნებს დაახლოვებოდა. ბათუმი ევროპასთან შავ ზღვით არის შეერთებული. თუ ბათუმი წაიღეს, ბაქო განცალკევებული დარჩება და აქ ყოველივე წარმოება ჩაკვდება ბათუმის ჩამოჭრით მთელი მხარე უნაყოფოდ დარჩება, უმთავრესად კი დასავლეთი საქართველო, რომელიც მთელ კულტურას ბათუმის საშუალებით ღებულობს.

აქვს ასეთი მნიშვნელობა ბათუმს ოსმალეთისთვის? ასეთი მნიშვნელობა ოსმალეთისთვის ბათუმს არა აქვს. როცა ჩვენ ბათუმი მივიღეთ, ის წარმოადგენდა ერთ მივარდნილ ადგილს იმიტომ, რომ ბათუმის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა ასეთია, რომ ოსმალეთის განვითარება მის საშუალებით არა ხდებოდა.

ყარსის მნიშვნელობა

ავიღოთ ქალაქი ყარსი. ეს ქალაქი წარმოადგენს პირველ ხარისხოვან სიმაგრეს, და ვინც ქ. ყარსში შემოვა, ის შემოიჭრება ამიერ-კავკასიის გულში და ყარსში და მის ოლქში გაბატონებული მთავრობა იბატონებს მთელ ამიერ-კავკასიაზე. მაშასადამე, ჩვენ არა გვაქვს ბუნებრივი სიმაგრეები, რომ უზრუნველ ვყოთ ჩვენი საზღვრები. და რომ ყარსი ჩამოგვაშორდეს, საზღვრების დასაცავათ ნეიტრალობის დროსაც საჭირო იქნება დიდძალი ჯარი, ვინაიდან საჭირო იქნება ამ საზღვრების დაცვა ავაზაკების ბრბოსა და კონტრაბანდისტებისაგან. თუ შეიქნა ისეთი ხელოვნური საზღვრები, როგორითაც ეხლა ფიქრობენ ჩვენთვის ხელფეხის შეკვრას, ჩვენ იძულებული ვიქნებით ვიყოლიოთ დიდძალი ჯარი.

მეორეს მხრით, უანექსიო ზავის ფორმულის ცხოვრებაში გასატარებლად ჩვენ გვაქვს სხვა პოლიტიკური მოსაზრებანიც: ჩვენ მოვახდინეთ დიდი რევოლიუცია იმიტომ კი არა, რომ ერთი მონობიდან მეორე მონობაში ჩავარდეთ. (ტაში. ხმები: „მართალია"). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის თავისუფლება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ და ის რეფორმები, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში—ჩვენ უნდა გავატაროთ დამოუკიდებლობაც, სხვისი—ვინც უნდა იყოს იგი უშუამავლოთ. (ხმები: „მართალია"). თუ ჩვენ გარეშე მოვლენას დაემორჩილეთ, თუ ჩვენ ოსმალეთის მმართველობამ გვიკარნახეს, ჩვენ უნდა გამოვემშვიდობოთ რევოლიუციასა და თავისუფლებას (ხმები: „მართალია").

მიწის საკითხი

ამიერ-კავკასიის დემოკრატია რომელიც უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია მიწის საკითხის გადაჭრაში, იცის, რომ ჩვენ მიერ ეს საკითხი სულ სხვაფერ იჭრება, ვინემ ოსმალეთში. თუ ჩვენც თითქმის ისეთივე წყობილება გვექნა, როგორიც არის ოსმალეთში,—და თქვენ იცით, რომ ოსმალეთში მიწის საკითხის გადაჭრა სხვაფერ დგას, ვინემ თქვენ ჰფიქრობთ მის გადაჭრას,—ამიერ-კავკასიის დემოკრატია, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია ამ საკითხის გადაჭრაში, სავსებით დაჰკარგავს ამის შესაძლებლობას. ჩვენთვის ქვეყნის დაცვა არის რევოლიუციის დაცვა. როცა ხალხი ამაში დარწმუნდება და დაინახავს საფრთხეს, ის აიღებს ხელში იმ იარაღს, რომელიც დღეს ხელიდან გააგდო.

ერთა თვითგამორკვევა.

მაგრამ ჩვენ გვაქვს მეორე ფორმულა—ერთა თვითგამორკვევა და, არ ვიცი რატომ, ამ დებულების გამოყენება უნდათ მხოლოდ ჩვენთან დამოკიდებულებაში. თუ ამას იზიარებთ, დაუთმეთ ლიფლიანდია, ესტლიანდია და სხვ. გერმანელს, ყარსისა და ბათუმის ოლქები კი—ოსმალეთს. მაგრამ ჩვენ ამ ფორმულას ვაყენებთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა სახელმწიფოებისათვის. ჩვენ გვსურს დავიცვათ ძველი საზღვრები. ვინაიდან ჩვენ ვიცავთ ამ ფორმულას, ცხადია, ჩვენ გვსურს 1914 წლის საზღვრების აღდგენა, რომელიც მოსპეს იმპერიალისტებმა. ამ საზღვრებში ჩვენ მოვითხოვთ, რომ თვითეულ ერმა თვითონ გამოარკვიოს თავის ბედი. თუ ოსმალეთი ჩვენ მოგვთხოვს ანექსიას, იმავე უფლებით შეგვიძლია ჩვენ მოვთხოვოთ ანექსია ოსმალეთს, თუ მას შეუძლია გვითხრას, რომ სარწმუნოებრივი მოსაზრებით აჭარა და ყარსის ოლქი უნდა შეუერთდეს ოსმალეთს, ჩვენ შეგვიძლია უთხრათ, რომ იმავე მოსაზრებით სომხეთი უნდა შემოგვიერთდეს ჩვენ. მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ ამას, ჩვენ ვამბობთ, რომ ოსმალეთისა და ამიერ კავკასიის საზღვრებში ხალხები თვით უნდა გამოერკვენ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ როცა აღდგენილ იქნება ძველი საზღვრები, თვითეული ოლქი მიიღებს სრულ შესაძლებლობას, რომ გამოაშკარავოს თავის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება და გახდეს თავის ბედის მჭედელი. თუ მაშინ ყარსისა და ბათუმის ოლქები იტყვიან, რომ მათ უნდათ დამოუკიდებლათ ცხოვრება, რომ ჰქონდეთ თავის მმართველობა, ჩვენ რა თქმა უნდა, ვიტყვით—კი. რა თქმა უნდა ვცნობთ ამ ოლქების სრულ დამოუკიდებლობას. მაშასადამე ეს ოლქები ერკვევიან ძველ საზღვრებში და თუ ხიშტის ძალით, რომელიმე უცხო სახელმწიფოს ჯარი შემოდის აქ და აცხადებს, რომ აი მე ვარ აქ და ჩემი აქ ყოფნის დროს თქვენ გამოერკვიეთო, ეს იქნება არა ხალხის, არამედ ხიშტის თვით-გამორკვევა. იმ თავისუფლების დროს, რომელიც ჩვენ გვაქვს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავკასიის ერები შესძლებენ საერთო შეთანხმებით მოაწყონ თავის ცხოვრება მშვიდობიანათ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

ეროვნული თავისუფლება

მაშასადამე, ქვეყნის დაცვა ჩვენთვის ნიშნავს არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურს, არამედ ეროვნულ თავისუფლების დაცვასაც. მაგრამ ჩვენ, როგორც ვსთქვი, ვცდილობთ, რომ ოსმალეთმა შეკრას ჩვენთან საპატიო ზავი. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს პატარა ქვეყანას ოსმალეთთან, სპარსეთთან და მეზობელ სახელმწიფოებთან ჰქონდეს მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება. მაგრამ ჩვენ თუ ვიცით მორიგება უნდა ვთქვათ, რომ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი არსებობის უფლებაც და ჩვენ არ დავემცირდებით ისე, რომ ხელი მოვაწეროთ სამარცხვინო ზავს და სასიკვდილო ლახვარი ჩავსცეთ ჩვენს ქვეყანას. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

შახატუნის სიტყვა

შახატუნი (დაშნ.) ჩვენი პარტია, ამბობს ორატორი, გულწრფელად მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს დემოკრატიულ ზავს. ჩვენ ძველი წყობილების დროსაც არ ვიყავით მომხრე ანექსიის. ამიერ-კავკასიის ერებსაც სურთ დემოკრატიული ზავი და ისინი საჭირო მსხვერპლსაც გაიღებენ, თუ ეს საჭირო იქნა ამ მიზნის მისაღწევად.

ხან-ხოისკის სიტყვა

ხან-ხოისკი (მუსავატი). ვეჭვობ, რომ ჩვენ გვქონდეს რაიმე ახალი საბუთი, რომელიც გვაიძულებდეს საკითხის ხელახლად გადაწყვეტას. ამ საკითხის შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს დადგენილება და დღეს, როცა ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ტრაპიზონში იმყოფება და ოსმალეთის დელეგაციაც იქ მიემგზავრება, როცა ხალხი ზავს მოელის—საკითხის ხელახლად განხილვა მე საერთაშორისო უტაქტობად მიმაჩნია. ეს საჭირო იყო მაშინ, თუ ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ვერაფერს გახდებოდა. მაშინ დავინახავდით, რომ ჩვენ გვაშორდით, რომ ჩვენ გვაშორდით ოსმალეთის მთავრობას და ამ საკითხსაც მაშინ განვიხილავდით. ოსმალეთის მთავრობის მოქმედებაში არის ლოღიკა დაცული. იგი თითქოს მიგვერეკებოდა დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ ჩვენ ეს არ ვისურვეთ. ამიტომ ოსმალეთი ახლაც ისე გვეყურებს ჩვენ, როგორც რუსეთის ნაწილს. დამოუკიდებლობის შესახებ თქვენ გარკვეული აზრი უნდა გამოსთქვათ. უახლოეს სხდომაზე სწორეთ ეს საკითხი უნდა იქნეს გარჩეული.

ლორთქიფანიძის სიტყვა

ლორთქიფანიძე (ს. რ.) ჩვენი პარტია მთელ თავის ძალას, ყველა თავის საშუალებებს მიახმარს თავდაცვისთვის ბრძოლას და დემოკრატიულ ზავის ჩამოგდების საქმეს. ჩვენ აქაც იმ პოლიტიკურ ხაზს ვადგევართ, რომელსაც ადგია ჩვენი პარტია რუსეთში. მე შემეძლო ამით დამეთავებინა ჩემი სიტყვა, რომ ყველა ორატორებს ისე გარკვევით წარმოეთქვა თავის სიტყვა, როგორც ნოე ჟორდანიამ წარმოსთქვა. არ არის აქ საჭირო დიპლომატობა, პირდაპირ უნდა ითქვას ყველაფერი; ხომ შეუძლებელია სხვა და სხვა ორიენტაციების არსებობა. ჩვენი დეკლარაციის განსახორციელებლათ ჩვენ დღესვე უნდა მოვახდინოთ მობილიზაცია (ტაში) და დავანახოთ ყველას, რომ შეგვიძლია თავის დაცვა. ხალხმა უნდა იცოდეს ნოე ჟორდანიას სიტყვა, რომელიც მან დღეს წარმოსთქვა. ხალხს უნდა ვაცნობოთ აგრეთვე მიწის საკითხის გადაჭრა. შეიძლება ზოგიერთებს არ უნდათ ჩვენ მხარი დაგვიჭირონ თავდაცვისათვის ბრძოლაში. მათ შეუძლიათ ჩამოგვშორდნენ, მაგრამ დეე, დღესვე ჩამოგვშორდნენ, თორემ მერე ჩამოშორება ღალატი იქნება (ტაში). დეე, ჩვენ ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე. თუ თქვენ ხართ შვილები აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს,—შეკრიბეთ ძალები ამიერ-კავკასიის დასაცავათ და ჩვენც თქვენთან ვართ. (ტაში).

სემიონოვის სიტყვა

თ. სემიონოვი (კადეტი). საჭიროა იმ ენით ლაპარაკი, რომლითაც აქ ილაპარაკა ნოე ჟორდანიამ. თათრები ერთ და იმავე დროს აწარმოებენ ჩვენთან საზავო მოლაპარაკებას და თან აძლიერებენ თავის სამხედრო ნაწილებს. და ჩვენც დღეს აქ უნდა განვაცხადოთ, რომ თავს დავიცავთ. ოსმალეთის მოქმედებაში არავითარი ლოღიკა არ არის. როცა ვეხიბ-ფაშა აქ ზავის წინადადებას გვაძლევდა, ბრესტ-ლიტოვსკში ლაპარაკი ჰქონდათ ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების შესახებ. თუ თქვენ გინდათ ლოღიკურად ილაპარაკოთ, ილაპარაკეთ ისე, როგორც ნოე ჟორდანია ლაპარაკობს.

ორი თუ სამი მილიონი ამომრჩეველი ხმას აძლევს განათლებულს გერმანიას ან საფრანგეთში. მაგრამ თვით ეგრედ წოდებული მეცნიერული სოციალიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ სოციალისტური წყობილების დამყარება არ შეიძლება მხოლოდ ერთს რომელიმე ქვეყანაში. მთელი კაცობრიობა ფრიად უნდა ავიდეს უფრო მაღალს საფეხურზე. ამაშია უდიდესი წინააღმდეგობა. მარქსისტული სოციალიზმი ერთი მხრით მთელი ჩვენი პლანეტის განახლებისთვის ოცნებობს, მეორე მხრით კი მხოლოდ დასავლეთ ევროპაში წარმოშობილ პოლიტიკურ ძალებს უწევს ანგარიშს. შეიძლება ეს წინააღმდეგობა იმით აიხსნებოდეს, რომ ჩვენს განათლებაში კულტურიან კაცობრიობას უდიდესი ადგილი უჭირავს და ჩვენ მსოფლიოს წარმოდგენაზე დიდი გავლენა აქვს იმ პოპულიარულ გეოგრაფიულ რუკებს, სადაც ევროპა გადაჭარბებულად დიდის მაშტაბითაა მოთავსებული. ხშირად გვეჩვენება, რომ ევროპის გარეშე ბევრი არაფერია გარდა სახარის უდაბნოებისა ან ჩინეთის კედლებისა. ნამდვილად კი დასავლეთი ევროპა ერთს პატარა ნახევარ კუნძულს წარმოადგენს ჩვენს პლანეტაზე და კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ამ ნახევარ კუნძულის გარეშე სცხოვრობს. ინტენსიური კულტურული შემოქმედებისა და სისხლის-მღვრელი ომების შემდეგ ევროპა დაიქანცა და დასვენებას საჭიროებს, ნახევრად ბარბაროსული კაცობრიობა კი მხოლოდ ახლა იმუშნება ხანგრძლივი ძილის შემდეგ. რას ნიშნავს რომელიმე ევროპიული პოლიტიკური პარტია, რას ნიშნავს თუნდ ესა თუ ის ევროპიული ერი ამ მრავალრიცხოვან და გაუცვეთელ რასებთან შედარებით, რომელთა ფერადი კანი ჩვენთვის უცხო, ხოლო ბნელი სული ჩვენთვის ძნელი გამოსაცნობია? ეს კი, ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ არც ოთხას მილიონიან ჩინეთს, არც სამას მილიონიან ინდოეთს, არც სხვა რომელიმე დიდს არა ევროპიულ ერს ჯერ კიდევ არ უხილავს სოციალისტური სიზმარი. ამოდენა ხალხის სამოთხეში შეყვანა კი შეუძლებელია მათდა დაუკითხავად.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა თითქო სოციალისტურ იდეოლოგიებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ეკონომიური და მორალური ევოლუციისთვის. ასე თუ ისე სოციალიზმი ერთგვარ რელიგიად გადაიქცა ევროპიული კაცობრიობის ერთი დიდი ნაწილისათვის. ადამიანები დღეს სოციალისტური მზიური სამეფოს მოსვლას ელიან, როგორც საშუალო საუკუნეებში მეორედ მოსვლას და საშინელ სამსჯავროს ელოდნენ. მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის საწყისზე მთელი ევროპა მისტიურმა თრთოლვამ შეიპყრო, როგორც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის საზღვარზე მას სოციალისტური თრთოლვა იპყრობს. მაგრამ მაშინ ლოდინი არ გამართლდა და ფეოდალური წესწყობილება დამთავრდა არა მეორე მოსვლით, არამედ კაპიტალისტური წესწყობილებით. თანამედროვე კაპიტალისტური კულტურა ისტორიული მოვლენაა და მოსალოდნელია, რომ ადგილს დაუთმობს სხვაგვარ საზოგადოებრივ წესწყობილებას. მაგრამ ჩვენთვის შეუძლებელია ამ მომავალი საზოგადოების ნათლად წარმოდგენა. მოსალოდნელია, რომ სოციალისტური იდეალები გავლენას იქონიებენ ჩვენი მომავლის ცხოვრებაზე და შემადგენელ ელემენტად შევლენ ახალ კულტურულ სინტეზისში. მაგრამ მოსალოდნელია ისიც, რომ სხვა დიდი რელიგიური, მორალური და მეცნიერული სისტემები, რომელნიც ან უფრო დასაბუთებულნი არიან ან უფრო მხცოვანნი კიდევ უფრო დიდს გავლენას იქონიებენ თავიანთ მხრივ. ბოლოს ჩვენთვის უცილობელი უნდა იყოს ისიც მხოლოდ ერთი რამ: მსოფლიო გარდაქმნაში მნიშვნელობა ექნება არა ერთს ელემენტარულ სოციალურ მოძრაობას, არამედ ყველა ცნობილ და უცნობ ძალებს და მომავალი საზოგადოება ალბად ნაკლებ ემგვანება ერთფეროვან სოციალისტურ ყაზარმას.

მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ არა მარტო თანამედროვე კულტურის სხვადასხვაობას, არამედ მის კონსერვატიულ ენერგიასაც. შორეულ ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, თვით ევროპაშიც კი მოიძებნებიან დიდი ეკონომიური და კულტურული ძალები, რომელთაც წინათაც შეუფერხებიათ და ალბად მომავალშიც შეაფერხებენ წმინდა კოლექტივისტური ან კომუნისტური წესწყობილების დამყარებას. ეს არის სხვათა შორის წვრილი მესაკუთრეების არმია და კერძოდ გლეხობა. მოგეხსენებათ, რომ პარიზის კომუნის აჯანყების დროს საფრანგეთის დიდმა ქალაქებმა საფრანგეთის სოფელი შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც. წინასწარმეტყველის ნიჭი არ არის საჭირო იმის დასანახავად, რომ თუ ევროპის მაშტაბში მართლაც კომუნის აჯანყება განმეორდა და ერთმა და ორმა ინდუსტრიულმა სახელმწიფომ პარიზის როლი იკისრა, დანარჩენი ევროპა ალბად საფრანგეთის სოფლის როლს იკისრებს და შეიძლება ძალიან ადვილადაც გაუსწორდეს აჯანყებულ უმცირესობას. და ამ მომავალ პრობლემატიურ სამოქალაქო ომში აგრარული რუსეთი ჩვენის ღრმა რწმენით, შეასრულებს არა სოციალისტური მოწინავე რაზმის როლს, როგორც ეს გულუბრყვილო ბოლშევიკებს ჰგონიათ, არამედ ტრადიციული ჟანდარმისას, როგორც ეს წინადაც არა ერთხელ მომხდარა.

მართლაც ბოლშევიკურ ფრაზეოლოგიის, რასაკვირველია, ოდნავადაც არ შეუცვლია რუსეთის კულტურა. ადამიანის ბუნება არ შეიძლება გადასხვაფერდეს რამდენიმე პარტიული სამიტინგო სიტყვის მოსმენით, რამდენიმე უნიადაგო რეზოლუციის მიღებით და კიდევ საარჩევნო ყუთში სოციალისტური სიის ჩაგდებით. ამიტომაც მგონია, თქვენ არ გაკვირვებთ თუ ვიტყვი, რომ ბოლშევიკური რესპუბლიკიდან მონარქიამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია და მოსალოდნელია, რომ რუსეთი არ დააყოვნებს ამ ნაბიჯის გადადგმას. წინააღმდეგობანი ხვდებიანო, ამბობენ ფრანგები, უბრალო შემთხვევა არ არის ის მოვლენა, რომ ბოლშევიკურ შტაბებსა და რაზმებში გულწრფელი ფანატიკოსების გვერდით თავი მოიყარა სხვა და სხვა ჯურის საეჭვო ელემენტებმა, რომელთაც გუშინ კიდევ ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის ან დამცველი განყოფილების მოღვაწეობით ვიცნობდით. ეს სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ ბევრს დარგში ლენინის მთავრობა შეგნებულად თუ შეუგნებლად მეფის მთავრობის ტრადიციებს იცავს. ეს ყველაზე ნათლად საგარეო პოლიტიკაში გამოჩნდა. გეხსომებათ, რომ ნიკოლოზ მეორის საგარეო საქმეთა მინისტრს, შტიურმერს, გერმანიასთან სეპარატიული ზავის შეკვრა უნდოდა, მაგრამ არ დასცალდა, რადგან მთელი ლიბერალური რუსული საზოგადოებრივი აზრი აუჯანყდა, რომელიც ყოველთვის უფრო ანგლოფილური იყო, ვიდრე გერმანოფილური. მაგრამ ბოლშევიკებმა შეითვისეს სეპარატიული ზავის იდეა და ნიკოლოზ მეორისა თუ შტიურმერის მიერ კრძალვით დაწყებული საქმე ლენინმა და ტროცკიმ თამამად დაამთავრეს. ამგვარად აღსრულდა ტროცკის მუქარა, რომელიც მან შარშან ლონდონში დატყვევების შემდეგ გამოსთქვა ინგლისის წინააღმდეგ: „შორს აღარ არის ის დრო, როცა რუსის დემოკრატია შესძახებს ინგლისის იმპერიალისტებს: ბატონებო, ქუდი იხადეთ და ფეხები ჩამოიწმინდეთ მაგიდიდანაო". მხოლოდ ბოლშევიკების წყალობით, იქ, სადაც წინად ჯინბულის თათრები ეწყო, დღეს გერმანელი იუნკერის და შუცენის ჩექმებია, რაიც კონსერვატიული და მონარქიული რუსეთის იდუმალის გულისწადილსაც წარმოადგენს, როგორც ცნობილია.

მაგრამ მეფისა და ლენინის მთავრობა ერთმანეთს შეხვდება არა მარტო ზავისა და ორიენტაციის საკითხში, არამედ თვით დემოკრატიის ძირითადი პრინციპის უარყოფაშიც. მოგეხსენებათ, რომ ლენინმა ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობათ გამოაცხადა პარლამენტარიზმის იდეა. მისი აზრით, პროლეტარიატისა და ბოგანო გლეხობის შესაფერი პოლიტიკური ფორმა ეგრედ წოდებული რევოლიუციური საბჭოების რესპუბლიკაა და არა ძველი საპარლამენტო ან საკონსტიტუციო სახელმწიფო. ამ თავისებური რწმენით აიხსნება სხვათა შორის ის გარემოება, რომ ბოლშევიკურმა კომისარიატმა შეუშფოთებლად გარეკა პირველი დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევას რუსეთში რამდენიმე თაობის პროპაგანდა, ბრძოლა და სისხლი დასჭირდა. თვით რუსეთი სრულიად გულგრილად შეხვდა ამ ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციურ აქტს. ეს, რასაკვირველია, იმას ამტკიცებს, რომ რუსის ხალხი მოკლებულია უფლებრივ შემეცნებას და ხვალ ისევე ადვილად დაემორჩილება თვითნება მეფეს, როგორც დღეს თვითნება სოციალისტს ემორჩილება.

კიდევ არის ერთი მსგავსება ძველი და ახალ მთავრობის შორის და ეს მსგავსება ჩვენთვის ყველაზე მეტად საყურადღებოა. ბოლშევიკები ცენტრალისტები არიან როგორც ეს ჭეშმარიტ ველიკორუსულ პარტიას შეეფერება. თუმცა ლენინი და სტალინი-ჯუღაშვილი პროგრამულად თითქო ტერიტორიულ ავტონომიასაც სცნობენ და სეპერაციის უფლებასაც, მაგრამ საქმით გაფანტული რუსეთის შემოკრებას შეუდგნენ და მათი ჯარი ებრძოდა უკრაინასა, დონსა და ამიერ კავკასიას. რასაკვირველია, ყველას გახსოვთ, მათი წარმომადგენლის, ბ. შაუმიანის, თბილისში მოვლინება. ბოლშევიკი კომისარი მოვიდა ფირმანით აღჭურვილი, როგორც ეს აღმოსავლეთის სატრაპს შეეფერება და როცა ამიერ კავკასიამ ის არ სცნო, აღმოსავლეთის სატრაპის მსგავსად სისხლის ღვრით მოინდომა ურჩი ქვეშევრდომების დაურვება.

გერონტი ქიქოძე.
(შემდეგი იქნება)

ევ. გეგეჭკორის სიტყვა

ევგენ. გეგეჭკორი. ყველა სიტყვებიდან, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ, სრულიად გარკვევით და აშკარად აღინიშნა ის გარემოება, რომ მე, როგორც გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარს, არამც თუ მქონდა უფლება, არამედ ვალდებულიც ვიყავი მექნა ყველაფერი ის, რაც მოვიმოქმედე. მე ვუჩვენებდი ხან-ხოისკის:—იგი საკითხს სვამს მაშინ, როცა ხალხს საფრთხე მოელის, უწოდებს საერთაშორისო ჟანდარმობას, მაგრამ უდიდესი დანაშაულობა იქნებოდა ამიერ-კავკასიისა და ხალხის წინაშე, რომ ეს საკითხი არ წამომეყენებინა ისე, როგორც წამოვაყენე (ხანგრძლივი მქუხარე ტაში). [illegible] ხან-ხოისკი ლაპარაკობდა ჩვენს შეცდომებზე. იმაზე, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი არ დათანხმდა ოსმალეთის წინადადებას გამოეცხადებინა თავისთავი დამოუკიდებლად მთავრობად. მთავრობის წევრს ხან-ხოისკის ავიწყდება, რომ კომისარიატი ჯერ არ გადამდგარა. ხან-ხოისკი ივიწყებს, რომ ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს, რომელიც გვიჩვენებდა ყველაფრის განადგურებას, იგი თანახმა იყო, რომ სხვა გამოსავალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. (გარეშე პირთა შორის ისმის ხმა: „დიახ“).

თავმჯდომარე. გთხოვთ ადგილიდან ნუ წამოიძახებთ სიტყვებს.

ე. გეგეჭკორი. ნუ თუ ჩემი გამოსვლა და ის საკითხი, რომელიც მე წამოვაყენე დამუქრებაა? მე უნდა ვსთქვა, რომ დამუქრება ჩემს სიტყვაში [illegible] და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ მხოლოდ ვსთქვით, რომ უნდა შევეცადოთ მთელი ძალღონით, მთელი ჩვენი ენერგიით, მთელი ჩვენი ინტელექტით, რომ მივაღწიოთ ერთი სამართლიანი ზავს. მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით საკითხი [illegible] ჩვენს გარეშე და [illegible] ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, რომლის შემუშავებაში ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია და რომელსაც ძალით გვახვევენ თავზე, როცა ჩვენ წინააღდეგობას გვიძლევენ ამ ხელშეკრულების [illegible] ... თუ არა თვითეულ [illegible] მთავრობისას, თვითეულ „[illegible]“, თავის სამშობლოს თვითეულ შვილს, თვითეულ უბრალო მოქალაქეს უფლება გამოვიდეს ამ ტრიბუნაზე და უთხრას ხალხს: გამაგრდი ხალხო, შენ [illegible] შენი რაზმები, [illegible] საფრთხე მოელის შენო.

ჩვენ არავის არ ვემუქრებით და ისეთი მომენტი არ არის ეხლა, რომ [illegible]. ჩვენ ვამბობთ, რომ [illegible] გამოსავალს [illegible] ხალხი [illegible] (ხანგრძლივი ტაში). [illegible] სამშვიდობო დელეგაციამ თვითონ უნდა შეიმუშაოს ისეთი დირექტივები, როგორიც მას მისცეს. ჩვენ [illegible]. ჩვენ გვინდა [illegible] ლოზუნგის რეალიზაცია, რომელიც წარმოადგენს რევოლუციონური დემოკრატიის სურვილს და [illegible] ზავის ჩამოგდების და ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ [illegible] იგი. მე ვფიქრობ, რომ სხვა თვალსაზრისი, სხვა პოზიცია ამიერ-კავკასიის კომისარიატს არა აქვს. ეს არის ჩვენი პროგრამა და ეს არის ჩვენი [illegible] და სასურველი იყო ამ [illegible] ცხოვრებაში გატარება. [illegible] ეს გზა ჩვენ უნდა განვიკვლიოთ. [illegible] მთავრობა ვერ აკმაყოფილებს [illegible], ასეთ მთავრობას უფლება არა აქვს იარსებოს არც ერთი წამით. (ხანგრძლივი ტაში).

ხან-ხოისკის სიტყვა

ხან-ხოისკი. მე ვსთქვი მხოლოდ, რომ ჩვენ ეს საკითხი უკვე განვიხილეთ, ჩვენ უნდა [illegible] ის საზღვრები, რომელიც [illegible]. მე არ მითქვამს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შეცდომა დაუშვა, როცა არ გაგზავნა წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში. მე აღვნიშნე მხოლოდ ფაქტი და კიდევ ვიმეორებ, რომ დღეს ამ საკითხის განხილვა [illegible].

[illegible] შესვენების შემდეგ სეიმში შემოტანილ იქნა [illegible] ფრაქციის რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ სეიმი კვლავ მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე ჩამოაგდოს დემოკრატიული ზავი და იწონებს [illegible] მიერ გადადგმულ ნაბიჯს.

მოქხმარებელი საზოგადოებანი და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი

რაც დრო და ხანი გადის იმდენად უფრო და უფრო მრავლდება კოოპერატივების რიცხვი ჩვენში. ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი კი სამართლიანად ვერ აკმაყოფილებს თავის წევრების უმრავლესობის და უფრო პროვინციის კოოპერატივების მოთხოვნილებებს. ყოველი კოოპერატივი წესდების მიხედვით ვალდებულია შევიდეს [illegible] კავშირში და შეიტანოს საწევრო გადასახადი თითო მანეთი თვითეულ თავის წევრზე. არავითარი უპირატესობა, რომელიმე კოოპერატივს არ უნდა ეძლეოდეს და საქონელი უნდა ნაწილდებოდეს ყველა კოოპერატივებზედ წევრთა რაოდენობის მიხედვით. ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს ჩვენში და საზოგადოთ, მიზნად უნდა ჰქონდეთ: გავრცელება ნამდვილ კოოპერაციისა სრულ თავის მნიშვნელობით და ამ თვალსაზრისით უნდა სწარმოებდეს კოოპერატივებიც და არ უნდა ვქონდეთ მას პარტიულ საწარმოვოდ, როგორც ამას ვაჩნევთ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს. მთელი მოსამსახურენი კავშირში დაწყებული გამგეობის წევრებიდან, კანტორა და ვიდრე სარდაფის მუშებამდე სულ ს.-დემოკრატები არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთს თუ ორს, თითქმის 60 კაცში, სხვა პარტიის მიმდევართ. ყველამ კარგად უწყის რომ სოფლად კოოპერატივების სათავეში უდგანან სოფლის ინტელიგენცია, მღვდელი, მასწავლებელი და სხვა წოდების ვინმე, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ ამა თუ იმ დაწესებულებას. ჩვენს სოციალისტებს [illegible] კი კავშირში [illegible] ხომ ყველა ამ დარგის ხალხი თუ [illegible] არიან, არამედ [illegible] და მანქანები და [illegible] ამ წარმოებაშიც. როდესაც სოფლის წარმომადგენელი ჩადის თბილისში საქონლის შესაძენათ ჯერ ამიერ კავკასიის კავშირში კითხულობს საქონელს და იქ იკვლევს, შემდეგ დღეულობს საქონელს საწყობიდან, მაგრამ ვერ [illegible] და ვერ [illegible]; უპირველეს [illegible] საქონლის შემდგენი [illegible] დაბრუნდება, შემდეგ შეეკითხება: „თქვენ რა გნებავსთ, საქონელი“?

თუ ვალში არ ჩაუხედავთ ბრძანებს: რიგში ჩადექით.

როდესაც მოვა თქვენი რიგი ფორმალური მოთხოვნილების შესრულების შემდეგ რაც გამოიხატება რწმუნებულების ქაღალდის წარდგენით, დაიწყებს ჩაის სმას.

— „გაქვთ რამე საქონელი?“ ეკითხებით.

— „კი ბატონო“.

— ჩასწერეთ ბატონო ი... საპონი, ჩაი, შაქარი, ბრინჯი, ძაფი, სპიჩკა...

— „მაცალე ბატონო“. განაგრძობს ჩაის სმას.

უკვე გაათავა ჩაი და შეუდგა ახლად მოსულ „ამხანაგთან“, რაღაცა საიდუმლო საუბარს.

— „ჩამოთვლილი საგნები გაქვთ!

— „არა ბატონო, მხოლოდ ხომ არ [illegible], მაცალეთ ცოტა ხანს“.

[illegible], რომ თქვენ სოფლიდან ხართ ჩამოსულნი, ეშურებით ჩქარა მოაჩეთ საქმეს და გასცილდეთ თბილისს რომ [illegible] არ დაგიჯდეთ საქონელი სასტუმროსა და სხვა ხარჯების გამო [illegible]. [illegible] მორიგეა თქვენი ი. ლაპარაკს და გიპასუხებთ ყურმოჭრით ხელში:

— „ჩამოთვლილი საქონელი არა გვაქვს“.

— „ლურსმანი, [illegible], ლამპის შუშები, [illegible]“...

— „არ არის ბატონო, ა, ბატონო რაც გვაქვს“. გადმოგდებს წინ სიას: კარტოფილის ფქვილი, [illegible], ყავა, კაკაო, ციკორი, „[illegible]“ სარდინა, პომიდორი, ბადრიჯანი, კრახმალი...

— ეს არის სულ?

— დიახ ბატონო, მეტი არა არისრა.

დგებით და მიდიხართ ვინაიდგან სოფელში იშვიათად გადის ხსენებული საქონელი. [illegible] საქონლით. ძალიან უბრალოდ გებადებათ კითხვა, თუ ვისთვის არსებობს ეს კავშირი, თბილისის კოოპერატივებისათვის, მაშ რისთვის აბანდებს თვითეული პროვინციის კოოპერატივი ათას მანეთებს საწევრო ფულს თუ სოფლის მოთხოვნილებებიც არ იქმნებიან დაკმაყოფილებულნი. [illegible] ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ წინდაწინვე მოუთხოვიათ რამდენიმე ათასი მანეთი ავანსად ამა თუ იმ საგნისათვის და შემდეგ უარი უთქვამთ: საქონელი თქვენ აღარ შეგვხვდათო. კავშირი რას ჰკარგავს, თუ რომელიმე სოფლის კოოპერატივმა საჭირო საგნისათვის კერძოთ ვალი აიღო და პროცენტები იხადა.

ეხლა გადავიდეთ მეორე ინსტანციაზედ. თუ ღმერთმა ბრძანა [illegible] და საპროვინციო საქონელი აღმოაჩნდათ კავშირში, დაკვეთის შემდეგ გაგზავნიან კავშირის საწყობში სადაც უნდა მიიღოთ საქონელი, იქ უარს [illegible] შეყურებით თუ ამათაც არ მოეწონათ თქვენი ფიზიონომია, [illegible] მოგიპყრობიან, ჯვარს გაცმენ. გეტყვიან, მოვამზადებთ საქონელს იქით კვირას მობრძანდით, იქით კვირას გეტყვიან ჯერ არ არის გამზადებული, შემდეგ სულ დაჰკარგავენ დაკვეთილ საქონლის სიას, მერე იპოვნიან და გამოირკვევა, რომ თქვენი დაკვეთილი საქონლის ნასახიც სარდაფში თითქოს სულაც არა ყოფილიყოს, ამ გვარად გაბანდებენ ორს სამს კვირას და ბრუნდებით შინ ცარიელი. ყოფილა იმისთანა შემთხვევაც რომ დაკვეთილი და გასაგზავნი საქონელი ორი თვე სწყობიათ სარდაფში, ვიდრე თვით დამკვეთი ხელმეორედ არ ჩამოსულა და არ წაუღია. დავუბრუნდეთ ისევ პირველს შემთხვევას. კანტორაში, რომელიც იკვეთავს საქონელს და რომელმაც იცის [illegible] თუ არა ეს თუ ის საგანი, მან გამოგიწერა, მაშ სად გქონა საწყობიდან ხსენებული საქონელი, მაგრამ ეხლა ადვილი გამოსაცნობია. მის შემდეგ რაც თქვენ საქონელი დაიკვეთეთ სამმა კვირამ განვლო, ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე სხვა კოოპერატივის წარმომადგენელი, მათი თანამგრძნობი მივიდა და თქვენი საქონელი მიუხედავად იმისა რომ ადრე [illegible] ჩაწერილნი მათ მისცეს, თქვენს სიას კი წითელი [illegible] წაუსვეს, საქონელი არ არისო.

დროაა ასეთ მიმდინარეობას ბოლო მოეღოს, მით უმეტეს ისეთ დაწესებულებაში როგორიც არის კოოპერატივი.

გ—ი.

მეურნეობის დაღუპვა საქართველოში

სხვა და სხვა შავრაზმულ და პროვოკაციულ მოქმედებით ჩვენი შინაური თუ გარეშე მტრების გამოსვლით და [illegible] ნელ ხალხის მოქმედებით, იხოცება და ირღვევა საქართველო. ყველას და ყველაფერს დაჰკარგვია თავისი მშვენიერი ქართული სახეობა, და მის მაგივრად ველურობის ინსტიქტს მოუცავს ყოველი არე. ქართლი საშინელების სარბიელად გადაქცეულა. იგი [illegible] და [illegible] რამოდენიმე თავზე ხელ აღებულ ადამიანების [illegible], რომელთაც გამოჰყავთ [illegible] მშრომელი გლეხობა თავიანთ მიწებიდან, გარედ, რომელიმე [illegible] და მშრომელ ინტელიგენტ ოჯახის [illegible] და ამოსახოცად. ყველამ კარგად იცის, რომ 1905 წლის მოძრაობის დროს დამფრთხალი თავად-აზნაურობა უშიშარ ადგილებში იხიზნებოდა, და შემდგომ როცა დრო დადგა, სოფელს შერჩა მხოლოდ ის ელემენტი ამ ყოფილ წოდებისა, ვინც უფრო მშრომელი ხალხის ახლო იდგა შეგნებით თუ გარეგნობით და მამულის სიყვარულით, ამ ყოფილმა [illegible] წოდებიდან [illegible] მშრომელ ხალხის მიკედლებულმა პირებმა სულ მათთვის უჩვეულ საქმეს, მეურნეობას მიჰყვეს ხელი. ძველის ძველი მამაპაპეული მეურნეობა ახალზე, ევროპიულ მეურნეობაზე შეცვალეს და თან გაიყოლიეს სოფლის მშრომელი ქართველი ხალხი. იგი დღემდის შერჩა მშრომელ ხალხს, მშრომელი გლეხობა, ვისაც უნდა ჰკითხოთ მადლობით იხსენიებს ამ ყოფილ თავად-აზნაურს, რომელმაც შეუფანა შრომის გასაადვილებლად ახალი კულტურა ახალის მიწის დასამუშავებელ იარაღებით, რა ძნელი იყო ამ ინტელიგენტ მუშებისთვის პირველ ხანს, როცა რკინის გუთნებს გლეხობა მასხარათ იგდებდა და ერთ ხან [illegible] რკინის გუთნის [illegible] ხსნიდნენ, „ღმერთის დაწყევლილია ხის გუთანიო“. და ეს იყო პირველ ხანებში სამი თუმანიც ძნელი გასამრჯო იყო თითო გუთანში, ახლა კი ოცდაათ თუმანსაც აძლევენ და ვერც კი უშოვნიათ, როგორ გული ჯავრით ევსებოდათ ამ ახალ მეურნეებს, როცა გლეხები წინაღმდეგები იყვნენ სათესლე [illegible] გაკეთებაზე, მათ მიერ შეძენილ საკმაზავ მანქანებზე,—„ეჰ, რაც უნდა დაკმაზო მაინც არა გამოვა რა, თუ ღმერთს არ უნდა“, ახლა კი დღის სავლებიდან მიაქვთ საკმაზავ მანქანებთან სათესლე [illegible] დასაკმაზათ. როგორ სასაცილოთ იგდებდნენ რკინის ფარცხებით ფარცხვას და სათესი მანქანებით მწკრივზე თესვას.

მებოსტნეობას, ჭარხლისა და კომბოსტოს მოყვანას სასაცილოთ იგდებდნენ, და ურჩევდნენ ამ მეურნე ხალხს, ტყვილად მიწასა და მუშას რათ აცდენთ, ახლა კი ათას თუმნობით, ეს ურწმუნო თვით ქართველი ხალხი, ბანკებში და ზანდუკებში ინახავს, ან და ხელგაშლით [illegible] ხარში ან კამეჩში კომბოსტო და ჭარხლით აღებულ ფულით ორას-სამას თუმნობით აძლევს და ათ თუმნობით „[illegible]“ ხარჯავს. ხილის ბაღებს ხომ ისე უყურებდნენ, როგორც [illegible] მინდორში გზის პირას მდგომ ტყემალს, რომელსაც ყოველი მგზავრი ეტანება და სჭამს, ან და „სულ რომ ბაღები გავაშენოთ, პური სადღა მოვაყვანოთო, ან და ყველას რომ ხილის ბაღი ჰქონდეს, ხილის ფასი დაიკარგებაო, მაგრამ ამ ახალმა მეურნე ინტელიგენტებმა გამართეს ნამყნის სანერგეები, ჩაჰყარეს თავიანთ პატარა მამულებში ხილი, ამით წააქეზეს მეზობელი გლეხები, ხელი მოუმართეს მეტის იაფობით ნამყნის გაცემითა და დღეს მრავალ გლეხს ათი და ოცი დღიური ხეხილის ბაღები აქვთ უკვე მსხმოიარე და თვით მეხილეებს [illegible] მეტოქეობას უწევენ, და ასას-ორას-სამას და მეტ თუმნობით ხილში იღებენ და ერთი ხუთად და ათად ჩარჩებს ხეირს აძლევენ.

გვახსოვს, როგორის უნდობლობით და ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ ინტელიგენტ მეურნეებისაგან გახსნილ საკრედიტო ამხანაგობებს, და რაოდენი მოგებაში მტერი გაუჩნდა სოფლის ბანკებს, მაგრამ დღეს მთელი მშრომელი ქართველობა მის გარშემო ფულს [illegible], სესხულობს, ავალებს, აბარებს, ჰყიდულობს და სხვა. გვხედავთ რაოდენი მტერი ჰყავს კოოპერატივებს, მათ დახვრეთაზე მოუწოდებენ ნელ ხალხს, რომელთა იერიში დღე-დღეზე მოსალოდნელია, მაგრამ ამ იერიშებს ესევე ინტელიგენტი მეურნეები გმირულად უდგანან წინ, და მით [illegible] საქმიან [illegible].

ჩვენში გადაგვარებულ საქონლის ჯიშსა აგრეთვე [illegible] და [illegible] ამახლებენ უცხო ჯიშის [illegible] საქონლით და არა ერთსა და ორს გლეხს ხახავთ, რომელსაც საუკეთესო [illegible] მოაშენებს, არა ერთსა და ორს საქონლის მოყვარულ გლეხს ერთი კვირის სავალზე მოუძებნია [illegible] ყავრიშვილების საქონლის ჯოგები და იქ საშენებლად უყიდნია ხბოები და მოზვრები, და ყავრიშვილების, ზუბიაშვილებისა და სხვების საარაკო რძის [illegible] მეზობლებისათვის. ამ სამაგალითო მეურნეობის და კოოპერატივის ნიმუშებს მეზობელი [illegible] იღებენ და [illegible].

ეს ინტელიგენტი მეურნეები აარსებენ სკოლებს და სახალხო სახლებს, რის საშუალებით წერა-კითხვას, [illegible] და [illegible] სინათლეს იძენენ.

ეს ის ინტელიგენტი მეურნენი არიან, რომლებსაც 1905 წლის მოძრაობის დროს, ძველი მთავრობისაგან დევნა, ციხე, ჩხრეკა, აწიოკება და [illegible] არ ასცდათ და ახლა, ამ [illegible] დროს, [illegible] თავისუფლება მოეპოვათ და თავიანთ ოცი ოცდახუთი წლის შექმნილ მეურნეობიდან ძალმომრეობით გარეკილები არიან და აქა-იქ თბილისის სახლების კუთხეებში ეფარებიან მტერთაგან განწირულნი სიცოცხლეს!!

შეხვედრის დროს ერთმანეთს ეკითხებიან, რათა? რისთვის? რა დავაშავეთ? ჩვენ აქამდის ჩვენი მეზობელი მშრომელი ხალხი არა გვღალატდა და ახლა რათ შეიცვალეს გული? ნუ თუ იმისთვის, რომ ჩვენ თავად-აზნაურების ჩამომავლები ვართ? მაგრამ ჩვენ ხომ არასდროს არ გვითვლიდნენ ჩვენი [illegible]?

დიახ, დღეს მეურნეობა ქართლში მიტოვებულია პატრონებისაგან, სახლები, კარ-ფანჯარა ღია, გაძარცული, დაწიოკებული. ზოგიერთებს თვით სოფელი ყარაულობს, საქონლის [illegible] ვერ უძლებენ გლეხობა და [illegible] ჰპატრონობს, არჩეულ კაცები მოდიან პატრონებთან და სთხოვენ დაბრუნებას, მაგრამ შიშით ვერ მიდიან. ზოგან სოფლებმა დაიყვეს საქონელი, ინვენტარი და მამულები, ზოგან ვილაცები აქეზებენ, რომ ყველაფერი განადგურონ, რათა ცარიელი მიწები დარჩეს და გაჰყონ. ყველაზე საშინელი ეს უკანასკნელი ამბავია.

ყველაფერი დანგრევისაკენ არის მიმართული. ტყეები ნადგურდება, ჩვენ ვიცით, რომ მრავალ ადგილას ზამთარ-ზაფხულ წყაროებზე [illegible] ბრუნავენ, ახლა ამ წყაროებს წყალი აკლდებაო, ჩამოაქვთ ამბავი. მრავალ ადგილას გაჩეხილ-განადგურებულ ტყის ფერდობებზე [illegible], თხელი ნიადაგი [illegible] ჩამოირეცხება, ტყე ვეღარ იხეირებს და მეწყერის ადგილად გადიქცევა. მარტო ყოფილ მაღალ წოდების ახირებით არ დამთავრდება საქმე, მალე თვით შეძლებულ გლეხებს მიადგებიან, ამის მაგალითები უკვე არის, მხოლოდ ჩვენში ყველაფრის გამოცხადებას და გადაჭარბებას [illegible], რადგან თვით ბოროტმოქმედებმა [illegible], არსად გაამხილოთო. „[illegible] თავი არ დამალაო“, ნათქვამია. დღეს თუ ხვალ უსაშინელეს ამბებს გავიგებთ. სოფლებში თითქმის ყველას ბურჟუაძეებს უწოდებენ. ვინ არის ბურჟუა ჩვენში, ღმერთმა იცის! არც ის იცის ვინმემ, ვინ დარჩება ცოცხალი, ზოგს თავისი-თავი მართლა ბურჟუა ჰგონია და შიშით [illegible], იმ ორასიოდე თუმნის გულისთვის არ მოკლანო. ეს გარემოება სამშობლოს დაცვისათვისაც ძლიან ცუდია. ამას ყველა ჰგრძნობს. ბევრგან გლეხობა მეცხვარეობას მისდევს, როგორც ხმა მოვიდა, ცხვარი [illegible] ჩირგვებში მიერეკებიან და ამ [illegible] იყვლეფება, რის გამო დიდი ზარალი ექნება ცხვარს. თვით ყველაფერს სიძვირის ცეცხლი უკიდია და ამის შემდეგ ხომ უარესი იქნება. ფულის [illegible] დასახლებული ექნება და ღარიბი ხალხი ვეღარ გაუძლებს სიძვირეს და გაბოროტებული მივარდება ყველაფერს და მაშინ უარესი უბედურებაა. ყველაფერს კარგი გათვალისწინება უნდა და ახლავე ღონისძიების აღმოჩენა, რომ ამ საშინელმა ცხოვრებამ თავის კალაპოტით გაიაროს.

ყველაზე მეტი ყურადღება ამ უბედურებას ქალაქებმა უნდა მიაქციოს. ქალაქი იკვებება სოფლებით და პირველი საზრუნავი ქალაქისათვის სოფლის მეურნეობის აღორძინებაა. ჯერ ქალაქებს სოფლელების აბუჩად აგდების მეტი არა გაუკეთებიათ-რა. დროა გონს მოვიდეს ქალაქი და სოფელს ხელი მოუმართოს მეურნეობის აღორძინებაში. ქალაქელები უნდა ეცადონ, რომ მშვიდობიანად დაიბრუნონ სოფლის მეურნეები თავის მამულებში და განაგრძონ თავიანთი მეურნეობა, ამით დაიხსნან ისედაც მრავალ ლტოლვილთაგან გამრავლებული ქალაქები. უსაქმოდ მოსიარულე მხნე და ჯანღონიანი და ენერგიით სავსე მეურნეები [illegible] ქალაქებში, ამას იქით [illegible] შეიცვლება.

დროა, ისედაც სუსტმა და მოუწყობელმა მეურნეობამ მეტის ყურადღებით [illegible]!

ალ-ნდრე მუნჯა.

თეატრი და ხელოვნება

გიმნასტიკის მიზანი და დანიშნულება

(„ამირანი“-ს [illegible] გამო)

უმთავრესი და დიდი მიზანი გიმნასტიკისა გამოიხატება იმაში, რომ ჰარმონიულად შეეგროვოს და გაავითაროს ადამიანი, როგორც გონივრულად აგრეთვე ფიზიკურადაც. ამასთანავე გიმნასტიკას განსაკუთრებითი თავისი სპეციალური თვისება აქვს: გამოამუშაოს ჯანსაღი [illegible], სიმარჯვე, სიმტკიცე და სულის სიმაგრე. სკოლაშიც თავისი ადგილი უნდა ეჭიროს მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მოწაფეები არ გადაატვირთოს და იგი არ გადაიქცეს გიმნასტიკის თავბრუ დამსხმელ ფოკუსებად, არამედ საჭიროა მოსწავლე ერთნაირად და სისტემატიურად განვითარდეს, რადგან [illegible]. ამასთანავე საჭიროა მისთვის ყოველმხრივი წარმატებები, რომ [illegible] და ჯან-საღ სხეულში სული და ღონიერი გონება გაჩნდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ყოველიცე ინდივიდუმი ჰგრძნობს, რომ იგი [illegible] კი არ შედგენს, არამედ „მთლიანის“ ნაწილს და ამგვარად [illegible] „მთლიანობის“ წესებს—[illegible] ეს იზრდება კერძო ინტერესების დამორჩილებას „მთლიანობის“ წინაშე. [illegible] მას ჰარმონიის და ხალხს უწყობს საერთო დისციპლინას (შეწყობილებას), თვითონაც თავის არსებობით წესრიგი დგება.

მოტრფიალე [illegible], ჯანსაღობისა, [illegible], [illegible] და [illegible], ჰქონის საკუთარი ჰარმონიას. და, სწორედ ამისთანა ტიპი ჩაითვლება კულტურულ ოჯახის შვილად და ეს მიზანი უნდა დავისახოთ ჩვენ მომავლის [illegible].

ელ. აბაშიძე.

წერილი რედ. მიმართ

დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის და ჩემს შორის არსებულ უთანხმოების გასარკვევ სამედიატორო კომისიის წევრად მე დავასახელე ჩემის მხრივ დავით გურამიშვილი და სიმონ ქვარიანი. ვინაიდან სიმონ ქვარიანი ამ ჟამად მძიმედ ავად არის და იმედი არაა ის მალე ადგება და ამ კომისიაში მუშაობას შესძლებს, ამიტომ იძულებული ვარ მის მაგიერ მეორე მედიატორე დავნიშნო: ბ. ივანე დ მიტროს ძე აბაზი. უმორჩილესად ვთხოვ სამედიატორო კომისიას საქმის გარჩევას შეუდგეს.

პატივისცემით არქიმანდრიტი

ნაზარი.

შემოწირულება

ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ი. მ. ლორთქიფანიძემ მიიღო ალ. კვალიაშვილისაგან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გორის ორგანიზაციის მიერ შეგროვილი 1656 მან., მათ შორის 50 მან. „თავისუფლების სესხი“. სია შემომწირველთა:

რ. უზნარგუნაშვილი 250 მ., ვ. მგალობლიშვილი 100 მანეთი. ს. [illegible]ძე, ნ. ღუღუნაძე ნინა ქურდიანი, ალ. კვალიაშვილი 50 მან. თითოს; ექ. კ. ელიოზიშვილი 45 მან.; ლ. ნიჟარაძე 40 მ., ი. ქიტიაშვილი ი. ყანჩელი 25 მ. თითოს; დ. მახარაშვილი, ქ. ბეთლემიძე 20 მ. თითოს; გ. ზანგურიძე, დიკ. ლუკაშვილი, მ. არჩვაძე 10 მ. თითოს; ს. თოლაძე, გ. [illegible]შვილი, ვ. [illegible]შვილი, დ. კარგარეთელი 5 მ. თითოს; ს. [illegible], დ. რომანიშვილი, გ. ერისთავი, ა. [illegible]შვილი, დიკ. [illegible]ძე, გ. წერეთელი 3 მან. თითოს; ი. ქაფიანიძე, ნ. კვალიაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ა. რომანიშვილი 2 მან. თითოს; პ. გოლაშვილი 1 მ. 50 კ.; ი. გამდლიშვილი 50 კ.; გორის ფოსტის მოსამსახურენი 83 მ.; ყუთებებით შეგროვილი 760 მ.

ეს ფული შეტანილია ამიერ-კავკასიის ბანკში 7 თებერვალს „ქ. უნ. ს. საზოგადოების“ მიმდინარე ანგარიშზე.

კალენდარი

პარასკევი, მარტის 2

ყველიერის პარასკევი

ქართვ. † წ. მოწ. თეოდორე კვირინელ ეპისკოპოზისა, წმ. დედოფლისა [illegible] (1395 წ.)

კათოლ. წმ. ელენესი და [illegible]. [illegible]

მაჰმად. ჯუმა 1 რ. ჯემადიულახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომ [illegible] 1 რ. ნისან 5678 წ. ქვეყ. შექმ.

დოქტორი ზ. [illegible]
მოსკ. ანთიმოსის მე
კალანდარიშვილი
[illegible]
[illegible] მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.
[illegible] № 17—21.

[illegible] ექიმი
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
[illegible] (914-ს და 606-ს შემზადება) [illegible] ქალებით და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 [illegible] „[illegible]“-ს [illegible] ტელეფონი 14—28.

„[illegible]“ [illegible] № 4.